"ემბისისთვის" პასუხისმგებელი ბიზნესი არის მუდმივი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ჩვენს წილ პასუხისმგებლობას თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, ფართო საზოგადოებაზე და იმ გარემოზე, რომელშიც გვიწევს ოპერირება. განსაკუთრებით მიკროსაფინანსო სექტორში, პასუხისმგებელი ბიზნესის წარმართვა არის ძალიან მნიშვნელოვანი. დაარსების დღიდანვე მიზნად დავისახეთ, ბაზარზე სანდო და გამჭვირვალე რეპუტაციის დამკვიდრება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კომპანიის მთავარ წარმატებად მივიჩნევთ ორგანიზაციულ კულტურას, კორპორაციული მართვის სტილს, დასაქმების თანაბარ პირობებსა და ჯანსაღ კონკურენციას, გამოცდილ გუნდს და მყარ ფინანსურ პარტნიორებს. ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობა და შესაბამისი ღირებულებითი ჩარჩოები, აბსოლუტურ თანხვედრაშია ჩვენს ბიზნესფილოსოფიასთან. ვალდებულებად ვთვლით კომერციულ წარმატებას მივაღწიოთ ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ვიზრუნოთ გარემოზე და საზოგადოებაზე, გავუზიაროთ ცოდნა მათ, ვისაც ამის საჭიროება აქვთ."

ეთერ ჩაჩიბაია, "ემბისის"-ს ოპერაციების დირექტორი

უპაირო



ემბისი

EFES GEORGIA



VIRTUAL HAPPY HOUR

EFES
GEORGIA

CATEGORY "SUPPORTING EMPLOYEES DURING THE COVID-19 PANDEMIC"

SUPPORTING EMPLOYEES AND MOTIVATION PROGRAMS

During the pandemic EFES Georgia specified protection of its employees health and wellbeing as the first priority. The employees that are not required to be in the field or at the production facilities, were moved to distant working mode.

The production process became automated at a maximum possible degree.

Plus, the company reduced the number of working hours and field activities for the respective groups.

The visitors are not allowed to enter the factory and office areas. Production equipment, products and transport are disinfected on daily basis.

The company provides its employees will full health insurance packages fully funded by the company. The company also funds catering and commuting of the employees during working hours.

The company offers each employee an individual development plan and funds training and other courses for them which are organized within the company or by other organizations.

Access to the mentioned educational resources is equal for all employees depending on specific needs. Throughout the period from January 1, 2020 to date, up to 60 training sessions were organized by the company, which includes online training during the pandemic.

"During Covid-19 pandemic, in compliance with the recommendations and regulations of WHO and the Georgian government, primarily, we introduced 3 basic priorities to protect health and wellbeing of our employees, clients and business partners. These are: protection of health and wellbeing of our employees, strict monitoring over health and safety norms during the production processes, support of the Georgian citizens, our partners and employees."

Ertan Curt, General Director.

თანამშრომელთა მხარდაჭერა და სამოქმედო პროგრამები

პანდემიის პერიოდში "ეფეს საქართველომ" უმთავრეს პრიორიტეტად განსაზღვრა თანამშრომლების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა.

თანამშრომლები, რომელთა საქმიანობისთვისაც არ არის აუცილებელი ველზე ან წარმოებაში ყოფნა, გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე.

წარმოების პროცესი მაქსიმალურად ავტომატიზებული გახდა.

გარდა ამისა, კომპანიამ შეამცირა სამუშაო საათები და გასვლითი ღონისძიებები სავსელ ჯგუფებისათვის.

აიკრძალა გარე ვიზიტორების დაშვება ქარხნისა და ოფისების ტერიტორიაზე. ყოველდღიურად ტარდება საწარმოო აღჭურვილობის, პროდუქციისა და ტრანსპორტის დეზინფექცია.

კომპანია დასაქმებულებს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევის სრული პაკეტით, რომელსაც კომპანია სრულად აფინანსებს. კომპანია ასევე აფინანსებს სამუშაო საათებში თანამშრომლების კვებასა და ტრანსპორტირებას.

კომპანია თითოეულ თანამშრომელს სთავაზობს განვითარების ინდივიდუალურ გეგმას (Individual Development Plan) და თანამშრომლებს უფინანსებს როგორც კომპანიის ფარგლებში, ისე სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა თუ კურსებს.

აღნიშნულ საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა სრულიად თანაბარია ყველა თანამშრომლისთვის, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე. 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე კომპანიის ორგანიზებით ჩატარდა 60-მდე ტრენინგი, მათ შორის, ონლაინტრენინგები – პანდემიის პერიოდში.

"კოვიდ-19-ის პანდემიის დროს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს მთავრობის რეკომენდაციებისა და რეგულაციების შესაბამისად, უპირველესად, 3 ძირითადი მკაფიო პრიორიტეტი დავადგინეთ ჩვენი თანამშრომლების, მომხმარებლებისა და ბიზნესპარტნიორების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ესენია: ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა, საწარმოო პროცესში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი, ქართული სამოგადოების, ჩვენი პარტნიორებისა და თანამშრომლების მხარდაჭერა."

ერთან კურტი, გენერალური დირექტორი

უზენაესი საპროექტო



EMPLOYEES SUPPORTING PROGRAM DURING COVID-19 PANDEMIC

From the very first pandemic stage Rico Express set a plan to create a safe environment, assist the employees materially and protect them under the high risk threat. During decision taking the supervisory council of the company took into consideration the recommendations of WHO and Georgian government, also health condition of the employees, their needs and expectations.

In order to minimize the chances of spreading the virus, Rico Express installed external tills, carried out daily disinfection and made mandatory wearing of facemasks in closed spaces.

The company provided material support of 1,000 GEL in excess of the salary to 62 employees; those at high infection risk were put on paid leave until the end of pandemic. The supervisory council conducted systematic and individual screening of the employees a number of times.

As a result of the measures taken under the project, the company ensured isolation of the infected employees and their contacts, worked out the possible safest schedule and maintained distant working conditions keeping full salaries for each employee within its maximum capacity.

RICO



თანამშრომელთა მხარდაჭერის პროგრამა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში

პანდემიის დაწყებისთანავე "რიკო ექსპრესმა" მიზნად დაისახა დაცული გარემოს შექმნა, საკუთარი დასაქმებულების ეკონომიკურად უზრუნველყოფა და მაღალი რისკის მქონე თანამშრომლების დაცვა. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო გადანაცვეტილების მიღებისას ითვალისწინებდა ჯანმოსა და საქართველოს მთავრობის რეკომენდაციებს, ასევე თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობას, მათ საჭიროებებსა და მოლოდინს.

"რიკო ექსპრესმა" ვირუსის გავრცელების ალბათობის მაქსიმალურად შესამცირებლად დაამონტაჟა გარე საღაროები, დაიწყო ყოველდღიური დეზინფექცია და დახურულ სივრცეში აუცილებელი გახდა პირბადის ტარება.

კომპანიამ 62 თანამშრომელს, ეკონომიკური დახმარების სახით, 1000-ლარიანი სახელფასო დანამატი გადასცა, დაინფიცირების მაღალი რისკის მქონე თანამშრომლები კი ანაზღაურების სრული შენარჩუნებით პანდემიის დასრულებამდე გაათავისუფლა. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ არაერთხელ ჩაატარა თანამშრომლების სისტემატური და ინდივიდუალური სკრინინგი.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზაციამ წარმატებით უზრუნველყო ინფიცირებული თანამშრომლებისა და მათი კონტაქტების იზოლაცია, მაქსიმალურად უსაფრთხო გრაფიკის შემუშავება და შესაძლებლობების ფარგლებში დისტანციური მუშაობა თითოეული თანამშრომლის ხელფასის სრულად შენარჩუნებით.

რიკო





COVID-19 MANAGEMENT EMERGENCY HEADQUARTER

In the context of the emergency situation caused by Covid-19 infection, effective from March 23 RMG started managing the processes to ensure safety of the personnel working in the enterprise and to efficiently cope with the epidemiological situation.

For the purposes of virus spread prevention in the company production spaces and among the personnel, all respective standards are observed at a maximum degree. At the first stage of pandemic, the company started making facemasks and preparing disinfection liquid itself.

As of November 2020, 568 fast and 1,160 PCR tests, plus 1,500 four-component French made flu vaccine shots were made available to the employees. The company personnel can voluntarily take the vaccine shot.

Although the project has not yet ended, its initial results are already visible. Covid-19 management emergency headquarter is coordinating up to 3,000 employees. It has been playing a crucial role in running the production process without interruption and delays.

Thanks to the efforts of the headquarter, the threat of spreading Covid-19 has been minimized, which is proven by the respective consequences: during the first wave Kazreti and RMG activity areas maintained a green zone status.

"I assume, through introduction of high level corporate social responsibility in everyday activity we will facilitate sustainable development of the community and national economy. Implementation of various infrastructural, environmental, educational, cultural and sport projects in Kvemo Kartli region, based on the needs and interests of the local community and through their engagement, is one of the leading aspects of RMG's CSR policy. The objective of our long-term CSR strategy is establishment of better environment for the local community and ensuring their harmonious coexistence with the next-door production facilities."

Tornike Lipartia, Executive Director, JSC RMG Copper and RMG Gold

COVID 19-ის მართვის მენეჯერული უზრუნველყოფა

კომპანია "არემჯიში", ახალი კორონავირუსის ინფექცია COVID-19-ით გამოწვეული ვითარების გამო, საწარმოში დასაქმებული თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების ეფექტურად სამართავად 2020 წლის 23 მარტიდან აქტიურად დაიწყო პროცესების კოორდინირება.

კომპანიის ტერიტორიაზე და თანამშრომლებში ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მაქსიმალურად მოხდა ყველა შესაბამისი სტანდარტის დაცვა. პანდემიის გავრცელების პირველ ეტაპზე კომპანიამ, საკუთარი ძალებით, ადგილზე დაიწყო პირბადეების კერვა და სადემინგეცო ხსნარის დამზადება.

2020 წლის ნოემბრის მონაცემებით, ჩატარებულია 568 სწრაფი და 1160 PCR ტესტი, ასევე გაკეთებულია გრიპის 1500 ერთეული ფრანგული წარმოების 4-კომპონენტიანი ვაქცინა. კომპანიის თანამშრომლებმა ვაქცინაციით ნებაყოფლობით ისარგებლეს.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი არ დასრულებულა, მისი პირველადი შედეგები თვალსაჩინოა. "COVID-19-ის მართვის საოპერაციო შტაბი", ჯამში 3000-მდე თანამშრომელს უწევს კოორდინირებას. შტაბი საწარმოო პროცესის შეუჩერებლად და შეუფერხებლად მუშაობისთვის დღემდე ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს.

შტაბის მუშაობის შედეგად, მინიმუმამდე არის დაყვანილი COVID-19-ის გავრცელების საფრთხე, რაც შედეგებით დასტურდება – კაზრეთი და "არემჯის" სამოქმედო არეალები პირველი ტალღის დროს მწვანე ზონის სტატუსს ინარჩუნებდა.

"ფიქრობ, "არემჯის" ყოველდღიურ საქმიანობაში მაღალი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვით ხელს შევუწყობთ საზოგადოების და ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ადგილობრივი თემის ინტერესების გათვალისწინებით და მათი ჩართულობით, ქვემო ქართლის რეგიონში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, გარემოსდაცვითი, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროექტების განხორციელება „არემჯის“ CSR პოლიტიკის მთავარი მიმართულებებია. ჩვენი CSR სტრატეგიის გრძელვადიან მიზანს ადგილობრივებისთვის უკეთესი გარემო პირობების შექმნა და წარმოების გვერდით მათი ჰარმონიული თანაცხოვრების უზრუნველყოფა წარმოადგენს."

თორნიკე ლიპარტია, სს RMG Copper-ის და შპს RMG Gold-ის აღმასრულებელი დირექტორი

არემჯი



MAINTAINING SENSE OF STABILITY AND PSYCHO-EMOTIONAL CONDITION OF THE EMPLOYEES OF BANK OF GEORGIA

A project implemented by Bank of Georgia during the pandemic was targeted at introduction of a new online system, maintenance of unity and team awareness, and improvement of their psycho-emotional condition.

In March 2020 BOG took a decision to put majority of its employees on remote working mode. In order to achieve this goal, the bank started to actively apply Workplace internal communication platform, which is a good platform for sharing information, for successful management of the working process and implementation of entertaining or educational activities.


During the pandemic over 3,000 employees are actively using Workplace, observing online activities, asking questions and receiving answers to their questions.

During the pandemic active online communication between the management and the employees proved to be of high importance. It is worth pointing out that according to the internal survey, during this particular period the employees' loyalty towards the company increased by 12%.

BANK OF GEORGIA

Archil Gachechiladze - "უკმაყოფიერებელი შედეგია შინაგან კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების და კოველიდენტის გამოწვევების ჩვენს მიზნობრივობასთან."

ერთად ვცდილობთ ამ ყველაფერს და ვცხადებთ, რომ ჩვენი მიზნობრივობა დამატებით და დამატებით ცხოვრების ჩვეულებას რეგულარულად."



"During the pandemic, social responsibility turned out to be even more significant for the companies. This includes support to vulnerable groups, implementation of environmental projects, support to education and etc. It is not possible for a business to operate in isolation from the environment. Therefore, it is important that business undertook more social responsibility for development of the society which it is serving. Currently, as never before, customers expect from the brands not only satisfaction of their needs and interests, but also more social activity. In implementing social projects, business clearly emphasizes value of the brand, shares it with the public and employees and forms favourable opinions."

Archil Gachechiladze, General Director

"საქართველოს ბანკი" თანამშრომლებში სტაბილურობის განხორციელება და უსიყო-ვემოსიური გზგრაფიის შენარჩუნება

"საქართველოს ბანკმა" პანდემიის პირობებში განახორციელა პროექტი, რომლის მიზანი იყო ახალი ონლაინსისტემების დანერგვა, თანამშრომლებში ერთიანობის, გუნდურობის შეგრძნების შენარჩუნება და თანამშრომლების ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება.

2020 წლის მარტში "საქართველოს ბანკმა" მიიღო გადაწყვეტილება, თანამშრომლების დიდი ნაწილი გადაეყვანა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.

იმისთვის, რომ მუშაობა მოსახერხებელი ყოფილიყო, ბანკმა აქტიურად დაიწყო შიდა საკომუნიკაციო პლატფორმა "ვორკფლეისის" გამოყენება, რომელიც კარგი საშუალებაა ინფორმაციის გასაზიარებლად, სამუშაო პროცესის სამართავად და აქტიური გასართობი თუ შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად.

პანდემიის პერიოდში 3000-ზე მეტი თანამშრომელი აქტიური რეჟიმში იყვნენ "ვორკფლეისის", თვალს ადევნებს ლაივჩართვებს, სვამს კითხვებს და იღებს პასუხებს იმ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს.

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მენეჯმენტის აქტიური ონლაინკომუნიკაცია თანამშრომლებთან. აღსანიშნავია, რომ შიდა კვლევის თანახმად, სწორედ ამ პერიოდში 12%-ით გაიზარდა კომპანიის მიმართ თანამშრომლების ლოიალობა.

"პანდემიის პირობებში, სოციალური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა კომპანიებისათვის. იქნება ეს მონაცვლადი ჯგუფების მხარდაჭერა, გარემოს დაცვის პროექტების განხორციელება, განათლების ხელშეწყობა თუ სხვა. ბიზნესისთვის შეუძლებელია ოპერირებდეს გარემოსგან იზოლირებულად, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბიზნესმა აიღოს მეტი სოციალური პასუხისმგებლობა იმ საზოგადოების განვითარებისთვის, რომელსაც ემსახურება. ახლა ისე, როგორც არასდროს, მომხმარებლები ბრენდებისგან ელიან არა მხოლოდ მათი საჭიროებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას, არამედ მეტ სოციალურ აქტივობას. სოციალური პროექტების განხორციელებისას ბიზნესი გაცხადებულად აკეთებს აქცენტს ბრენდის ღირებულებებზე, აცნობს მას საზოგადოებასა და თანამშრომლებს და ქმნის პოზიტიურ შეხედულებებს."


არჩილ გაჩეჩილაძე, გენერალური დირექტორი

საქართველოს ბანკი



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

BANK OF GEORGIA



CATEGORY "SUPPORTING EMPLOYEES DURING THE COVID-19 PANDEMIC"

SUPPORTING SAFE AND CONVENIENT CONDITIONS FOR HOME OFFICE

Starting from March 2020, for the purposes of COVID-19 prevention, Bank of Georgia undertook social responsibility and transferred the main part of its employees to distant working mode.

In order to improve their working conditions at home and create comfortable environment, reduce the stress and ease the working process, various measures were taken:

For those, who had to work in one space with their little children, thus had to concentrate on them and engage in some exciting activity, Bank of Georgia together with Felix kindergarten created online kindergarten, where the children from 3 to 6 could get involved in interesting activities. The online kindergarten was active for about 1.5 hour per day, the children attended entertainment and educational events, and 15-20 minutes were dedicated to sport activity.

The bank also offered to its employees free delivery of Glovo courier service. This offer was for all BOG employees, and unlimited delivery service voucher was used by the staff members 9,213 times during the pandemic.

The outcome was that through online kindergarten and free delivery service provision the daily working process was less stressful and tense for the employees.

სახლიდან მუშაობის პირობებში უსაფრთხო და კომფორტული მუშაობის ხელშეწყობა

2020 წლის მარტიდან, COVID-19-ის პრევენციის მიზნით, "საქართველოს ბანკმა" აიღო სოციალური პასუხისმგებლობა და თანამშრომლების ძირითადი ნაწილი დისტანციურ მუშაობაზე გადაიყვანა.

სახლის პირობებში თანამშრომლებისთვის სამუშაო სივრცის გასაუმჯობესებლად და კომფორტული გარემოს შესაქმნელად, სტრესის შესამცირებლად და მათთვის სამუშაო პროცესის გასამარტივებლად გატარდა სხვადასხვა ღონისძიება:

იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სახლიდან მუშაობასთან ერთად უწევდათ თავიანთ პატარა შვილებზე ზრუნვა და მათი საინტერესო საქმით დაკავება, "საქართველოს ბანკმა" ბალ "ფელიქსთან" ერთად შექმნა ონლაინბალი, სადაც 3-6 წლის პატარებს შეეძლოთ საინტერესო აქტივობებით დაკავებულიყვნენ. ონლაინბალი დღეში დაახლოებით 1.5 საათი გრძელდებოდა, ბავშვები ესწრებოდნენ გასართობ-საგანმანათლებლო ღონისძიებას, ხოლო 15-20 წუთი ეთმობოდა სპორტულ აქტივობას.

ბანკმა თანამშრომლებს ასევე შესთავაზა საკურიერო კომპანია "გლოვოს" ულიმიტო მიწოდების სერვისი და ამ შეთავაზებით სარგებლობა შეეძლო "საქართველოს ბანკის" ყველა თანამშრომელს. ულიმიტო მიწოდების სერვისის ვაუჩერი პანდემიის დროს თანამშრომლებმა 9,213-ჯერ გამოიყენეს.

შედეგად, ონლაინბალისა და უფასო მიწოდების სერვისის შეთავაზებით ბანკის თანამშრომლების ყოველდღიური მუშაობის პროცესი ნაკლებად სტრესული და დაძაბული გახდა.

საქართველოს ბანკი



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA



MAINTAINING WORKING PLACES AND NEW EMPLOYEES

In the context of COVID-19 crisis, the company could have become obliged to reduce the number of working places and consequently the employees, which would definitely have a negative effect on the latter's financial position. It became necessary to take certain steps from the very first days of the lockdown which helped us to maintain the working places and remuneration to the employees.

During the pandemic Universe Business Group developed a schedule for distant working, specific transportation means were assigned to those staff members whose presence was inevitable at the immediate working location; thus, their safe transfer was guaranteed. The company added to its products disinfection and personal protection items, plus launched a delivery service.

As a result of all the above-mentioned activities, the company maintained 19 working positions and improved financial condition of the employees. Furthermore, it succeeded in introducing a bonus scheme during this challenging time. The company purchased equipment and machinery under the credit which allowed it to expand production and employ additional personnel. In total the company employed 18 new individuals and the number of staff members reached 37.

"With the world pandemic in progress, with the threat of crisis and unemployment present, it is important for us to maintain the company functioning to maintain jobs, as maintenance of our operations is directly related to the staff performance and their wellbeing."

Roman Badaliani, General Director

სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ახალი დასაქმებულები

COVID-19-ის კრიზისის ფონზე კომპანია სამუშაო ადგილების და თანამშრომლების შემცირების საშიშროების წინაშე დადგა, რაც მძიმედ აისახებოდა თანამშრომლების ფინანსურ მდგომარეობაზე. საჭირო გახდა გარკვეული აქტივობების ჩატარება, რაც დაეხმარა სამუშაო ადგილებისა და თანამშრომლების ანაზღაურების შენარჩუნებას.

"უნივერს ბიზნეს გრუპმა" პანდემიის დროს შეადგინა დისტანციური მუშაობის გეგმა-გრაფიკი. გამოიყო სატრანსპორტო საშუალებები იმ თანამშრომლებისათვის, ვისი ყოფნაც საჭირო იყო უშუალოდ სამუშაო ადგილზე და უზრუნველყვეს მათი უსაფრთხო გადაადგილება. ასევე კომპანიამ ასორტიმენტში დაამატა სადემინგფეციო და პირადი დაცვის საშუალებები და აამუშავა დელივერისერვისი.

განხორციელებული აქტივობების შედეგად, კომპანიამ შეინარჩუნა 19 სამუშაო ადგილი და გააუმჯობესა თანამშრომლების ფინანსური მდგომარეობა. მეტიც შეძლო და ამ მძიმე გამოწვევის დროს დანერგა პრემიების მექანიზმი.

კრედიტის საფუძველზე შეიძინა მანქანა-დანადგარები, რამაც წარმოების გაფართოების და დამატებითი კადრების აყვანის საშუალება მისცა. კომპანიამ დამატებით დაასაქმა 18 ადამიანი და თანამშრომელთა რაოდენობა 37-მდე გაიზარდა.

"მსოფლიო პანდემიის ფონზე, როცა კრიზისი და უმუშევრობის საშიშროებაა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია კომპანიის ფუნქციონირების შენარჩუნება, რათა შევინარჩუნოთ სამუშაო ადგილები, ვინაიდან კომპანიის ფუნქციონირება პირდაპირ პროდუქციულია თანამშრომლების საქმიანობასთან და მათ კეთილდღეობასთან."

რომან ბადალიანი, გენერალური დირექტორი

UBG



UBI CONCORDIA, IBI VICTORIA — CREATING HISTORY DURING THE PANDEMIC

PHILIP MORRIS



The initiative of Philip Morris Georgia (PMG) 'Ubi Concordia, Ibi Victoria – creating history during the pandemic' was worked out by support of the employees and their families, because wellbeing of its employees is the key priority for PMG. This is why from the very first day of the pandemic outbreak, the company worked out an initiative the purpose of which was to cope with the stress, deal with the new reality and improve mental health condition of the team.

The project comprised of four components: safety, mental wellbeing, motivation, support.

The company has a goal to create a space where all employees would experience safe environment and feel support of the company. A decision about 'reasonable working' rules is important, it helped them to maintain the ideal balance between their jobs and families.

45 company employees were moved to online working mode; as a result of involvement of the employees and their enthusiasm, 14 birthdays were celebrated online during the pandemic, 10 digital coffee breaks were held and 23 informal meetings were organized in a virtual room.

During the pandemic Philip Morris International (PMI) organized online seminars devoted to various themes. They held several global summits, organized 'summer camp' for the employees' children.

Efficiency of the undertaken initiatives is well reflected in increase of the employees' loyalty index (Employer Net Promoter Score) by 22 points during the pandemic.

"We live in a new, changing world, where everything unspecified and vague is moving towards future. Running a company, especially during the unprecedented global crisis, means creating safe and reliable environment for the employees. This is possible only through mobilization of joint efforts to cope with this unusual reality. This is now that it is necessary to direct out entire energy towards searching for new ways in this vague reality."

Iuri Gordok, General Manager

UBI CONCORDIA, IBI VICTORIA - ისტორიის შექმნის პროცესი პანდემიის პირობებში

"ფილიპ მორის საქართველოს" ინიციატივა "Ubi Concordia, Ibi Victoria - ისტორიის შექმნის პროცესი პანდემიის პირობებში" შეიქმნა თანამშრომლებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით, რადგან თანამშრომელთა კეთილდღეობა PMG-ის უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ პანდემიის პირველივე დღიდან კომპანიამ შეიმუშავა ინიციატივა, რომლის მიზანი სტრესის დაძლევა, ახალ რეალობასთან გამკლავება და გუნდის მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესება იყო.

პროექტი ოთხი კომპონენტისგან შედგებოდა: უსაფრთხოება, მენტალური კეთილდღეობა, მოტივაცია, მხარდაჭერა.

კომპანიას ჰქონდა მიზანი შექმნილიყო ისეთი სივრცე, სადაც ყველა თანამშრომელს ექნებოდა უსაფრთხოების განცდა და იგრძნობდა კომპანიის მხარდაჭერას. მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება "გონივრულ სამუშაო" წესების შესახებ, რომელიც ეხმარებოდა თანამშრომლებს სამუშაოსა და ოჯახის შორის იდეალური ბალანსის შენარჩუნებაში.

კომპანიის 45 თანამშრომელი გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. თანამშრომლების ჩართულობისა და ენთუზიაზმის შედეგად, პანდემიის პირობებში ონლაინრეჟიმში აღინიშნა 14 დაბადების დღე, გაიმართა 10 ციფრული "შესვენება ყავით" და ჩატარდა 23 არაფორმალური შეხვედრა ვირტუალურ ოთახში.

"ფილიპ მორის ინტერნეიშენალმა" (PMI) პანდემიის პერიოდში ჩაატარა სხვადასხვა თემატიკას მიძღვნილი ონლაინსემინარები. გაიმართა რამდენიმე გლობალური სამიტი. თანამშრომელთა ბავშვებისთვის მოეწყო "საზაფხულო ბანაკი".

განხორციელებული ინიციატივის ეფექტურობაზე მეტყველებს პანდემიის პერიოდში 22 ქულით გაუმჯობესებული თანამშრომელთა ლოიალობის ინდექსი (Employer Net Promoter Score).

"ჩვენ ვცხოვრობთ ახალ, ცვალებად სამყაროში, სადაც ყველაფერი ამოუცნობი და ბუნდოვანი მომავლისკენ მიემართება. მართავედ კომპანიას, განსაკუთრებით უპრეცედენტო გლობალური კრიზისის პერიოდში, ნიშნავს შექმნა უსაფრთხო და სანდო გარემო თანამშრომლებისთვის. ამ უჩვეულო რეალობასთან გამკლავება მხოლოდ საერთო ძალების მობილიზებით არის შესაძლებელი. სწორედ ახლა არის საჭირო, რომ მთელი ჩვენი ენერგია, ბურუსით სავსე რეალობაში, ახალი გზების მოძიებისკენ მივმართოთ."

იური გორდოკი, გენერალური მენეჯერი

ფილიპ მორისი



PHILIP MORRIS
GEORGIA

SUPPORTING EMPLOYEES DURING COVID-19 PANDEMIC – FORWARD, TO THE NEW REALITY!

At the very first pandemic stage support and safety of its employees became of primary importance for GPI Holding. Therefore, it planned and implemented a project – 'Forward, to the new reality!', the main goal of which was to retain all the employees and train them to prepare for switching to a new working mode.

The project commenced in March 2020 and is still going on.

Under the project a Covid-19 organizational team was established. Firstly, we equipped the offices with disinfection means, dezo-barriers and the posters with guidelines worked out by the Ministry of Healthcare. The organizational team managed to supply the necessary equipment to each employee's home in a very short period of time, IT department ensured that they were all switched into the internal network. Prior to moving to distant working, an internal communication strategy was developed providing for the employees daily online activities, in order to maintain team spirit and hear about their needs, encourage and increase their motivation on daily basis.

Home working of over 70% of the employees demonstrated to the management a new opportunity and the company switched to a new working style: so-called hybrid-management model, in which over 70% of the employees would permanently work from home.

As a result of taking new steps: during the first pandemic wave none of the employees of the holding got infected for any job-related reason. All 743 employees maintained their jobs, salaries and bonuses. New working places were created and up to 60 individuals were employed.

During the period full of challenges, the company achieved its goal and on the account of the planned activities the employees loyalty towards the company increased.

"I believe that adhering to principles of corporate social responsibility is necessary for any business today to achieve success. A company that strives to be sustainable and successful in the long run must be always responsive to events unfolding around it. Customers no longer appreciate companies by products alone, but require from them a higher degree of environmental and social responsibility. Corporate social responsibility is embedded in our company strategy. We always try to link social activities with our products to generate benefit for both the company and society. We have already implemented a number of campaigns that were beneficial for society as well as for the image and advancement of the company."

Paata Lomadze, General Director

GPI HOLDING



ჩვენ ვრეაგირებთ სახლში,
რომ მაღალ შედეგად ვართ აღწევთ



თანამშრომელთა მხარდაჭერა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში – წინ, ახალი რეალობისკენ!

"ჭიპიაი ჰოლდინგისთვის" პანდემიის პირველივე ეტაპზე მნიშვნელოვანი გახდა თანამშრომლების მხარდაჭერა და უსაფრთხოება. ამისათვის კომპანიამ დაგეგმა და განახორციელა პროექტი "წინ, ახალი რეალობისკენ!", რომლის უპირველესი ამოცანა იყო შეენარჩუნებინა ყველა თანამშრომელი და ყველა მათგანი მოემზადებინა ახალ სამუშაო რეჟიმზე გადასასვლელად.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2020 წლის მარტში და დღესაც მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში შეიქმნა Covid-19-ის საორგანიზაციო ჯგუფი. ოფისები აღიჭურვა სადემინგეციო საშუალებებით, დეზობარიერებით და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაიდლაინების პოსტერებით. საორგანიზაციო ჯგუფმა უმოკლეს დროში ყველა თანამშრომელი სახლებში აღჭურვა შესაბამისი საჭირო ტექნიკით, IT დეპარტამენტმა კი უზრუნველყო ყველა მათგანის ერთიან შიდა სისტემაში ჩართვა. დისტანციურ მუშაობაზე გადასვლამდე გაიწერა შიდა კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა ყოველდღიურ ონლაინაქტივობებს თანამშრომლებისთვის, რათა შენარჩუნებულიყო გუნდურობა, ყოველდღიურ რეჟიმში მომხდარიყო საჭიროებების შესახებ საუბარი, ერთმანეთის გამხნევება და მოტივაციის ამაღლება. თანამშრომელთა 70%-ზე მეტის სახლიდან მუშაობამ მენეჯმენტს დაანახა ამ გამოწვევის შესაძლებლობა და კომპანია მუშაობის ახლებურ სტილზე – ე.წ. ჰიბრიდული მართვის მოდელზე – დააფიქრა, სადაც თანამშრომელთა 70%-ზე მეტი მუდმივად სახლიდან იმუშავებს. აქტიური ნაბიჯების გადადგმის შედეგად, პირველი ტალღის დროს ჰოლდინგის არცერთი თანამშრომელი არ დაინფიცირებულა. მეორე ტალღის პირობებშიც არცერთი მათგანი არ დაინფიცირებულა სამსახურთან დაკავშირებული მიზეზით. 743-ვე თანამშრომელმა შეინარჩუნა სამსახური, კუთვნილი ხელფასი და ბონუსი. შეიქმნა სამუშაო ადგილები და 60-მდე ადამიანი დასაქმდა.

გამოწვევებით სავსე პერიოდში კომპანიამ მიაღწია მიზანს და დაგეგმილი აქტივობების ფონზე კომპანიის მიმართ თანამშრომელთა ლოიალობა გაიზარდა.

"ფიქრობ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გაზიარება ჩვენს დროში ყველა ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელი პირობაა. კომპანია, რომელსაც სურს გრძელვადიან პერსპექტივაში ძლიერი და წარმატებული იყოს, მუდმივად უნდა რეაგირებდეს მის გარშემო მომხდარ მოვლენებზე. დღეს მომხდარებელი არ გაფასებს მხოლოდ პროდუქტით, ის ბიზნესისგან გარემოსა და საზოგადოების მიმართ მეტ პასუხისმგებლობას ითხოვს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენი კომპანიის სტრატეგიის ნაწილია. ყოველთვის ვცდილობთ სოციალური აქტივობები ჩვენს პროდუქტებთან იყოს დაკავშირებული და სარგებელი მოუტანოს როგორც კომპანიას, ისე საზოგადოებას. უკვე არაერთი კომპანია ჩავატარეთ, რომელიც აქტუალური და საინტერესო იყო როგორც საზოგადოებისთვის, ასევე კომპანიის იმიჯისა და წინსვლისათვის."

პაატა ლომაძე, გენერალური დირექტორი

ჯი პი აი ჰოლდინგი



შენის სადაზღვაპო ჯგუფი

HILTON



CATEGORY "SUPPORTING EMPLOYEES DURING THE COVID-19 PANDEMIC"

SUPPORTING EMPLOYEES

During the Covid-19 pandemic (first wave), Hilton Batumi hotel was shut down in compliance with the regulations. It was neither able to host the visitors, nor had any income and its 136 employees were under threat of being left without salaries.

The company management set a plan to provide maximum support to their employees in that unusual situation and assist them to overcome the difficulties imposed by the pandemic. The company is run under European and American standards which was well illustrated during the pandemic. Under its corporate social responsibility plan, the company took actions in several directions. 13,000 Euros were allocated and distributed as financial aids to the employees. During the first lockdown the company provided financial assistance to 70 employees and 120 were provided with the food supplies stored in the hotel. In total the company supplied 4,000 kg food products to its employees.

To ensure availability of this information on the ongoing initiatives to all the employees, Hilton Batumi opened a WhatsApp account for a large group of employees. Information on the initiative and virus was actively distributed within the group; it must be noted that by help of this group the company received many gratitude letters from its employees.

"Personally and for us at Hilton it is in our "DNA" to give, help, support people at all times, no matter good or bad. Because at the end it's not about what we have or have accomplished. It is all about who we lifted up, who we made better. It's all about what we give back."

Torsten Weller, General Manager

თანამშრომელთა მხარდაჭერა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში

Covid-19-ის პანდემიის პერიოდში (პირველი ტალღა) სასტუმრო "ჰილტონ ბათუმი", რეგულაციების თანახმად, დაიხურა. სასტუმრო ვერ მასპინძლობდა სტუმრებს, არანაირი შემოსავალი არ ჰქონდა და მის 136 თანამშრომელს ხელფასის გარეშე დარჩენა ემუქრებოდა.

კომპანიის მენეჯმენტმა მიზნად დაისახა ამ მძიმე პერიოდში გვერდით დადგომოდა თანამშრომლებს და დახმარებოდა მათ პანდემიით გამოწვეული სირთულეების გადალახვაში. კომპანია ევროპული და ამერიკული სტანდარტებით იმართება, რაც კარგად გამოჩნდა პანდემიის დროს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანიამ რამდენიმე მიმართულებით დაიწყო მოქმედება. გამოიყო 13 000 ევრო, რომელიც თანამშრომელთა ფინანსური დახმარების სახით გაიცა. კომპანიამ პირველი შეზღუდვების პერიოდში 70 თანამშრომელს გაუწია ფინანსური დახმარება, ხოლო 120 თანამშრომელს სასტუმროში არსებული მარაგი – საკვები პროდუქტები გადასცა. კომპანია თანამშრომლებს, საერთო ჯამში, 4000 კილო საკვები პროდუქტებით დაეხმარა.

არსებული ინიციატივების შესახებ ინფორმაციის ყველა თანამშრომლისთვის გასაზიარებლად "ჰილტონ ბათუმმა" შექმნა თანამშრომლების დიდი ჯგუფი აპლიკაციაში WhatsApp და ამ გზით აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ინიციატივებისა და ვირუსის შესახებ. ამ ჯგუფის საშუალებით კომპანიამ ბევრი მადლიერი თანამშრომლის წერილიც მიიღო.

"შემიძლია ვთქვა როგორც საკუთარი თავის, ასევე "ჰილტონის" თანამშრომლების შესახებ, რომ თითოეული ჩვენგანის DNA გაცემის, დახმარების და აღაშთების მუდმივი მხარდაჭერის სურვილს შეიცავს; ესაა ნებისმიერ, კარგ თუ ცუდ დროს დახმარების სურვილი. რადგან საბოლოოდ, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რას მივალწიეთ ან ვერ მივალწიეთ, არამედ ვის შევაშველეთ ხელი და ვისი ცხოვრება გავაუმჯობესეთ. მთავარია, ვინ რას გასცემს."

ტორსტენ ველერი, გენერალური მენეჯერი

ჰილტონი



განსაკუთრებული ფორმატი:
პასუხისმგებელი ბიზნესი და COVID-19

Special Edition:
Responsible Business and COVID-19

2020



კატეგორია "მომხმარებელთა და მომწოდებელთა მხარდაჭერა
COVID-19-ის პანდემიის პერიოდში"

CATEGORY "SUPPORTING CLIENTS, CUSTOMERS AND SUPPLIERS
DURING THE COVID-19 PANDEMIC"

PHAGYO AGAINST COVID19

BIOCHIMPHARM

27,250

ხედიხ სანიტაიზერი ხანუქრად

მომხმარებლებს, მოწვევად ჩვეულებას და შედგურსიანებს

ბიოქიმიფარმის არსებული წარმოად, სანტელომეტილი დანიშნულების ხელის ანტიბაქტერიული სანიტაიზერი, გადამეცა:

25,000 - მეტ მომხმარებელს,

1250 სანტელომეტილი ტერმინალისა და

1000 - მეტ მედიკამენტის პუნქტისა და მოხვედრის

M meliora
Georgia's Responsible Business Awards

სანტელომეტილი
სანიტაიზერი
65% ალკოჰოლი

ბიოქიმიფარმის წარმოად
სანიტაიზერი
65% ალკოჰოლი

Biochimpharm is a bio-pharmaceutic company creating and producing medicaments based on bacteriophages. During September-December 2020 the company was making an offer to its customers targeted at reducing the rate of virus spreading.

During the first pandemic wave, antibacterial hygiene means were hard to obtain at Georgian as well as at the world market and their price increased by a few hundred percent. Just because of this reason, the company decided to create/produce antibacterial products for charity purposes; the new items would be gifted to the company customers free of charge. The company conducted a survey among its customers to find out which product they would desire to receive as a gift. The survey identified antibacterial hand sanitizer as the most demanded and desirable product. Based on the survey results, in quite short period of time hand antibacterial sanitizer was produced for non-commercial purposes; it was inspected and registered by the National Center for Disease Control and Public Health.

The action has been in progress in all major pharmacy networks since October; up to 25,000 customers benefited and were gifted with hand sanitizers when purchasing Phagyo spray. Antibacterial hand sanitizers were supplied to over 1,000 medical staff members (doctors, paediatricians, nurses, lab employees) throughout the entire Georgia, National Center for Disease Control and Public Health, elderly houses and orphanages.

"My vision of the future is generally optimistic. During the past nine months we have completely equipped the laboratory and efficiently increased capabilities for production of new, unique products; the eighth export market has been added to the list, we won in several local and international innovation programs and, most importantly, we continue doing out favourite business. In parallel to our export plans and expansion, we strongly hope to double the number of our employees during the forthcoming few years. Our company's activity is fully devoted to defeating the acute diseases, that can be handled with only the products based on the phages produced by our company and not any other medication, including antibiotics. During the pandemic, this medication was actively used for treatment and prevention of secondary bacterial infections, which in most cases accompany the virus infections and complicate their treatment and management. With the global pandemic in the background, apart from our main activity, we were trying to find possibilities that would enable us to contribute to combating the pandemic and its accompanied issues. We are doing all within our capacities to ease life of our customers, as well as of those people who are in the highest need of that."

Rati Gholijashvili, General Manager

ზოგადი COVID-19-ის წინააღმდეგობა

კომპანია "ბიოქიმიკალიზმი" ბიოქიმიკალიზმი კომპანიაა, რომელიც ქმნის და აწარმოებს ბაქტერი-ოფაგებზე დაფუძნებულ პრეპარატებს. 2020 წლის სექტემბერში, დეკემბრის თვის ჩათვლით, კომპანიამ მომხმარებლებისათვის სპეციალური აქციის შეთავაზება გადაწყვიტა, რომელიც ვირუსის გავრცელების ტემპების შემცირებას ისახავდა მიზნად.

პანდემიის პირველივე ტალღის პერიოდში საქართველოსა და მსოფლიო ბაზარზე დეფიციტური გახდა ანტიბაქტერიული, ჰიგიენური საშუალებები და მათი საბაზრო ღირებულება რამდენიმე ასეული პროცენტით გაიზარდა. აქედან გამომდინარე, კომპანიამ ჰიგიენური ანტიბაქტერიული საშუალებების საქველმოქმედო დანიშნულებით შექმნა/წარმოება გადაწყვიტა, რომელიც შემდგომში კომპანიის პროდუქციის მომხმარებლებს უფასოდ უნდა გადასცემოდათ. კომპანიამ ჩაატარა გამოკითხვა თავის მომხმარებლებში, თუ რა პროდუქტის მიღება სურდათ საჩუქრად. საჭირო და სასურველ პროდუქტად დასახელდა ხელის ანტიბაქტერიული სანიტაიზერი. ამ გამოკითხვაზე დაყრდნობით, საკმაოდ მოკლე პერიოდში, საგანგებოდ აქციისათვის, არაკომერციული დანიშნულებით შეიქმნა ხელის ანტიბაქტერიული სანიტაიზერი, რომელიც შეამოწმა და დაარეგისტრირა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC).

აქცია ოქტომბრის თვიდან მოქმედებს ყველა მსხვილი სააფთიაქო ქსელის აფთიაქებში. ამ აქციით უკვე ისარგებლა და "ფაგიო სპრეის" შეძენისას ხელის სანიტაიზერით დასაჩუქრდა 25 000-მდე მომხმარებელი. ხელის ანტიბაქტერიული სანიტაიზერები გადაეცა 1000-ზე მეტი მედპერსონალს (ექიმები, პედიატრები, ექთნები, ლაბორატორიის თანამშრომლები) მთელი საქართველოს მასშტაბით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფრებს.


"ზოგადად, ოპტიმისტურად ვუყურებთ მომავალს. ბოლო 9 თვის განმავლობაში მოვახდინეთ ლაბორატორიის სრული აღჭურვა და მნიშვნელოვნად გავზარდეთ ახალი, უნიკალური პროდუქტების შექმნის შესაძლებლობები, დაგვემატა მერვე საექსპორტო ბაზარი, გავიმარჯვეთ რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო ინოვაციურ პროგრამაში და რაც მთავარია, ვაგრძელებთ ჩვენი საყვარელი საქმის კეთებას. ჩვენი საექსპორტო გეგმებისა და გადართობის პარალელურად, დიდი იმედი გვაქვს, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი თანამშრომლების რაოდენობა გაორმაგდება. ზოგადად, ჩვენი კომპანიის საქმიანობა მთლიანად ეძღვნება ისეთ მწვავე დაავადებებთან ბრძოლას, რომლებსაც კომპანიის მიერ წარმოებულ ფაგებზე დაფუძნებული პრეპარატების გარდა ვერც ერთი სხვა საშუალება, მათ შორის ანტიბიოტიკებიც კი, ვერ უმკლავდებათ. პანდემიის განმავლობაშიც აღნიშნული პრეპარატები აქტიურად გამოიყენება მეორადი ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ და პრევენციისთვის, რომლებიც ძირითად შემთხვევებში თან ახლავს ვირუსულ ინფექციებს და ართულებს მათ მკურნალობას და მართვას. გლობალური პანდემიის ფონზე, ჩვენი ძირითადი საქმიანობის გარდა, ვცდილობდით გვემოვა ის შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებითაც შევძლებდით პანდემიასთან და მის თანმხლებ პრობლემებთან ბრძოლაში წვლილის შეტანას. მაქსიმალურად გვინდა შევესწრეთ ყოფა ჩვენი მომხმარებლებისა და იმ ადამიანებს, ვისაც ამ კრიტიკულ სიტუაციაში ეს ყველაზე მეტად ესაჩიროებათ."

რატი ღოლიჯაშვილი, გენერალური მენეჯერი

აიოქიმიკალიზმი



TBC BANK



CATEGORY "SUPPORTING CLIENTS, CUSTOMERS AND SUPPLIERS DURING THE COVID-19 PANDEMIC"

TBC FOR YOU

During the pandemic delivery of digital services to the customers turned out to be important. This service was introduced in TBC at the starting stage of the pandemic; accordingly, it was essential to offer more convenient and cheap service. The project started in March 2020 and is still going on.

At the very first stage of the project, it was feasible to use mobile banking without interest. Plus, contactless money withdrawal limit was increased to ensure less contact of the customers with terminals and card. Besides, all digital offers were combined and placed in one space – tbcforyou.

Regardless reduced human flows in physical service spaces, the company succeeded in supplying services through digital channels and ensured provision of proper banking activity throughout the entire country.

თიბისი ზანთვის

პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი გახდა ციფრული სერვისების მიწოდება მომხმარებლებისათვის. ასეთი სერვისი უკვე დანერგილი იყო პანდემიის დასაწყისში "თი ბი სი-ში" და შესაბამისად, ბანკმა იზრუნა, რომ კლიენტებისთვის უფრო კომფორტული და იაფი სერვისი შეეთავაზებინა. პროექტი დაიწყო 2020 წლის მარტში და დღესაც გრძელდება.

პროექტის დაწყებისთანავე შესაძლებელი გახდა მობაილბანკით სარგებლობა საკომისიოს გარეშე. ასევე გაიზარდა თანხის უკონტაქტო გატანის ლიმიტი, რათა შემცირებულიყო მომხმარებლის შეხება აპარატებთან და ბარათთან. გაერთიანდა ყველა ციფრული შეთავაზება და ერთ სივრცეში – tbcforyou-ში განთავსდა.

ფიზიკური მომსახურების სივრცეებში ადამიანთა ნაკადის შემცირების მიუხედავად, კომპანიამ შეძლო ციფრული არხების მეშვეობით მომსახურება და ამდენად, მთელი საქართველოს მასშტაბით საბანკო საქმიანობა გამართულად მიმდინარეობს.

თი ბი სი ბანკი



თიბისი ბანკი
TBC BANK

PROVIDING BIO TOILETS TO SCHOOLS

The purpose of the project implemented in cooperation between Ki Ki and the schools in mountainous regions was to resolve the problem present at the schools in the mountainous regions of Georgia. These schools have no sewage systems and the school children had to use messy, unorganized bathrooms. This problem became most urgent during the pandemic when compliance with the hygiene norms became one of the most important terms for the virus prevention. Activity of Ki Ki relates to bio toilets, it was addressed by authorities of several schools with the request to provide assistance for the academic year commencing in 2020.

The project started in September 2020 and ended in December.

Once the company got familiar with the essence of the problem, through permanent communication with the school administration and in full compliance with the related standards provided them with bio toilets. The project envisaged delivery of the bio toilets as well as additional service provision: their installation and further weekly maintenance services (pumping out, bio-chemistry, cleaning, toilet paper provision and disinfection) without which the project would not have been efficient.

Similar collaboration was initiated and implemented with 45 schools throughout Georgia, and as a result their school children could use organized and clean toilets during studies. These toilets are most effective in the areas where due to the relief it is difficult to set up a sewage system, as bio toilet minimizes environmental impact as well.

Through the project implementation the schools in the mountainous regions managed to improve their uncomplimentary conditions and create a better adapted environment for the pupils.



"The crises caused by Covid-19 made us give more thoughts to the role of our business in the community, and to the commitments that we bear towards these people. For KiKi and personally myself, doing responsible business is the main means through which we can make our contribution to overcoming the crisis and ensuring welfare of the country."

Irakli Chkhaidze, Executive Director

სკოლების გიო ტუალეტებით უზრუნველყოფა

კომპანიამ "კი კი" მაღალმთიანი სოფლების სკოლებში განახორციელა პროექტი, რომლის მიზანი იყო საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სკოლებში არსებული პრობლემის მოგვარება. ამ სკოლებს არ გააჩნიათ საკანალიზაციო სისტემა და მოსწავლეებს უწევდათ მოუწესრიგებელი საპირფარეშოებით სარგებლობა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური პანდემიის პირობებში გახდა, როცა ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ვირუსისგან თავის დასაცავად. კომპანია "კი კის", რომლის საქმიანობა ბიოტუალეტებს უკავშირდება, ახალი 2020-2021 სასწავლო წლისთვის დახმარების თხოვნით მიმართა რამდენიმე სკოლის ადმინისტრაციამ.

პროექტი დაიწყო 2020 სექტემბერში და დასრულდა დეკემბერში.

პრობლემის არსში გარკვევის შემდეგ კომპანიამ, სკოლის ადმინისტრაციებთან თანამშრომლობით და სტანდარტების დაცვით, სკოლებს ბიოტუალეტები მიიწვია და დამატებითი მომსახურებაც გაუწია, კერძოდ, თავად უზრუნველყო ტუალეტების დამონტაჟება და შემდგომ ყოველკვირეული მომსახურება (ამოტუმბვა, ბიოქიმიკა, დასუფთავება, ტუალეტის ქაღალდი და დეზინფექცია), რის გარეშეც პროექტი არ იქნებოდა შედეგიანი.

პროექტი საქართველოს მასშტაბით 45 სკოლაში განხორციელდა და ამ სკოლების მოსწავლეებმა სასწავლო პროცესის პერიოდში მოწესრიგებული და სუფთა საპირფარეშოებით ისარგებლეს. ამგვარი ტუალეტები განსაკუთრებით ეფექტურია ისეთ ტერიტორიაზე, სადაც, რელიეფიდან გამომდინარე, რთულია საკანალიზაციო სისტემის გამართვა, ამასთან, ბიოტუალეტი, გარემოს დაცვის თვალსაზრისითაც, ეკოლოგიურ ზიანს მინიმუმამდე ამცირებს.

პროექტის განხორციელების შედეგად, მაღალმთიანი რეგიონების სკოლებმა შეძლეს პანდემიის პერიოდში არსებული არასახარბიელო პირობების გაუმჯობესება და მოსწავლეებისათვის უკეთესი, ადაპტირებული გარემოს შექმნა.

"კოვიდ 19-ის გამო შექმნილმა კრიზისმა კიდევ უფრო დაგვაფიქრა ჩვენი ბიზნესის როლზე საზოგადოებაში და იმ მოვალეობებზე, რომლებიც ამ საზოგადოების მიმართ გვაქვს. კომპანია "კი კი"-სთვის და პირადად ჩემთვის პასუხისმგებელი ბიზნესის განხორციელება ის უმთავრესი საშუალებაა, რომლითაც შევძლებთ ჩვენი წვლილის შეტანას კრიზისის დაძლევისა და ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში."

ირაკლი ჩხაიძე, აღმასრულებელი დირექტორი

კი კი



LIBERTY BANK



CATEGORY "SUPPORTING CLIENTS, CUSTOMERS AND SUPPLIERS DURING THE COVID-19 PANDEMIC"

TAKING CARE OF LIBERTY CLIENTS' SOCIAL AND FINANCIAL WELLBEING

Within the framework of social responsibility plan 'Liberty with Heart', Liberty Bank is implementing a large-scale project together with its partner companies, which share its general values and are willing to provide assistance in overcoming the difficult pandemic period to those people who are in its urgent need.

During Covid-19 pandemic the leading companies – Evex Clinics, Pharmadepo and Nikora supermarket networks shared initiative of Liberty Bank and through their joint efforts special terms were planned and worked out for elderly customers.

The joint activity which commenced on October 15 and lasted till the end of the year offered special discounts and priorities to Liberty social card holders on over 2,500 drugs for daily needs and over 350 food products throughout entire Georgia; plus, over 50% discount to laboratory and medical services. Concessions are effective for over 800 medical services in 33 Evex clinics in 6 regions of Georgia.

Through the joint project 'With all heart for those in the highest need of it' up to 1 million Liberty customers received an offer to benefit from special discount and services on drugs, food products and medical services.

"Today our main challenge is to ensure safety of our customers and employees, and take good care of them. Social responsibility plan #libertywithheart was born very quickly during the pandemic and within its frame a number of useful projects have already been implemented. During recent months, regardless the risk presence, every member of our team was untiringly working to ensure provision of uninterrupted services to our customers, and to create and deliver to them safe, comfortable services and the projects adjusted to the new reality."

Vasil Khodeli, General Director

ლიბერტიის მოხსენებელის სოციალურ და უინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნვა

სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის "ლიბერტი გულით" ფარგლებში, "ლიბერტი ბანკი" ახორციელებს მასშტაბურ პროექტს პარტნიორ კომპანიებთან ერთად, რომლებიც იზიარებენ ბანკის საერთო ღირებულებებს და მზად არიან დაეხმარონ პანდემიით გამოწვეული რთული პერიოდის გადალახვაში იმ ადამიანებს, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

COVID-19-ის პანდემიის პერიოდში წამყვანმა კომპანიებმა – "ევექსის" კლინიკების, "ფარმადეპოსა" და "ნიკორას" სუპერმარკეტების ქსელმა – გაიზიარეს "ლიბერტიის" ინიციატივა და ერთობლივი ძალისხმევით ასაკოვანი მომხმარებლებისთვის დაგეგმეს და შეიმუშავეს განსაკუთრებული პირობები.

ერთობლივი აქცია, რომელიც 2020 წლის 15 ოქტომბერს დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდა, "ლიბერტიის" სოციალური ბარათის მფლობელებს სთავაზობს განსაკუთრებულ ფასდაკლებებსა და უპირატესობებს ყოველდღიური საჭიროების 2500-ზე მეტი დასახელების მედიკამენტსა და სხვადასხვა სახის 350-ზე მეტ საკვებ პროდუქტზე მთელი საქართველოს მასშტაბით. ასევე 50%-ზე მეტ ფასდაკლებას ლაბორატორიულ და სამედიცინო სერვისებზე. შეღავათები ვრცელდება საქართველოს 6 რეგიონში, "ევექსის" 33 კლინიკაში, 800-ზე მეტ სამედიცინო სერვისზე.

ერთობლივი პროექტის "გულით მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება" შედეგად, ლიბერტიის 1 მილიონამდე მომხმარებელმა მიიღო შეთავაზება, ისარგებლოს განსაკუთრებული ფასდაკლებებითა და სერვისებით მედიკამენტებზე, პროდუქტსა და სამედიცინო მომსახურებაზე.

"დღეს, ჩვენი მთავარი გამოწვევა ჩვენი მომხმარებლებისა და თანამშრომლების უსაფრთხოება და მათზე ზრუნვაა.

სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა #ლიბერტიგულით პანდემიის პერიოდში დაიბადა და მის ფარგლებში, ძალიან სწრაფად, არაერთი სასარგებლო პროექტი უკვე განხორციელდა. ბოლო თვეების განმავლობაში, ჩვენი გუნდის თითოეული წევრი დაუდალავად, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის მიუხედავად, მთელი გულით მუშაობს, რომ არ შეფერხდეს ჩვენი მომხმარებლის მომსახურება და მათთვის უსაფრთხო, კომფორტული, ახალ რეალობაზე მორგებული სერვისები და პროექტები დროულად იქნეს შექმნილი და მიწოდებული."

ვასილ ხოდელი, გენერალური დირექტორი

ლიბერტი ბანკი

ლიბერტი

LIBERTY BANK



CATEGORY "SUPPORTING CLIENTS, CUSTOMERS AND SUPPLIERS DURING THE COVID-19 PANDEMIC"

იზა გიგაურს მინიჭებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (2013 წ). მისი სადისერტაციო თემაა „მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე“ და არის წიგნის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საფუძვლები“ ავტორი. იზა ასევე ფლობს ნიდერლანდების ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს, ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს, დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბოხუმის რურის უნივერსიტეტი გერმანიაში (2007წ). იყო გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის, ჰოლანდიის სტიპენდიის პროგრამისა და ერასმუს მუნდუსის სტიპენდიანტი. მას აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება აკადემიურ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. იზა ასწავლის უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, სალექციო კურსები მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ლიდერობა, ორგანიზაციული ქცევა, სოციალური მენარმეობა. გამოქვეყნებული აქვს ანალიტიკური და სამეცნიერო სტატიები.

NINO ELBAKIDZE

HUMAN RIGHTS ADVOCATE GEORGIA

Nino Elbakidze is a Human Rights Advocate who started her professional career in 2002 at a non-governmental organization - Rights Georgia (former Article 42 of the Constitution). She has 18 years of experience of working on human rights issues. During 2007-2014, she worked as project coordinator. From 2014-2016, she was the Executive Director of Rights Georgia. From 2014-2017, she worked at Human Rights House of Tbilisi HRHT, holding the position of Chairman. Simultaneously, Nino Elbakidze was the Director of the Gender Equality Support at Work Places project supported by USAID. During 2014-2016, she was an Expert for the Open Society Foundation's Monitoring the Implementation of the Association Agenda by NGOs project where she worked on labor justice. In 2017, she established an organization, entitled the Foundation of Advocating Human Rights and Democracy, and holds the positions of Executive Director and Chief Researcher. She is a member of the Georgian Bar Association. In 2018-2019, she won the competition for the Hubert Humphrey Fellowship Program supported by USA government. In 2018, she participated in a leadership program at Montana University and studied at the Law School of America University, in the Human Rights and Law Department, in 2018-2019. She was also an intern at Justice International, Washington, from February to May 2019. Nino Albakidze is the author of ten publications about labor law. Main areas of interest included issues of conflict related human rights; namely, the conditions of the population at the near-conflict areas in Georgia.

ნინო ელბაქიძე

ადამიანის უფლებათა იურიისტი
საქართველო



ნინო ელბაქიძე არის ადამიანის უფლებათა იურიისტი, რომელმაც პროფესიული საქმიანობა დაიწყო 2002 წელს არასამთავრობო ორგანიზაციაში "უფლებები საქართველო" (ყოფილი "კონსტიტუციის 42-ე მუხლი"). მას აქვს ადამიანის უფლებებზე მუშაობის 18-წლიანი გამოცდილება. 2007-2014 წლებში მუშაობდა პროექტების კოორდინატორად, 2014-2016 წლებში იყო უფლებები საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, 2014-2017 წლებში კი მუშაობდა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლში და ეკავა გამგეობის თავმჯდომარის პოზიცია (HRHT). პარალელურად, ნინო ელბაქიძე იყო პროექტის "გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამუშაო ადგილებზე" დირექტორი, რომელსაც მხარს უჭერდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). 2014-2016 წლებში იყო "ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს" ექსპერტი პროექტში "ასოციაციების დღის წესრიგის შესრულების მონიტორინგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ", რომლიც ფარგლებშიც მუშაობდა შრომის სამართლის მიმართულებით. 2017 წელს ნინომ დააარსა ორგანიზაცია "ადამიანის უფლებების ადვოკატირებისა და დემოკრატიის ფონდი" და არის მისი აღმასრულებელი დირექტორი და უფროსი მკვლევარი. ნინო არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2018-2019 წლებში გაიმარჯვა ჰუმბერტ ჰამფრის სახელობის სასწავლო პროგრამის შესარჩევ კონკურსში, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის მთავრობა. 2018 წელს გაიარა ლიდერობის პროგრამა მონტანის უნივერსიტეტში, ხოლო 2018-2019 წლებში ისწავლა ამერიკის უნივერსიტეტის ვაშინგტონის სამართლის სკოლაში ადამიანის უფლებებისა და სამართლის ფაკულტეტზე. 2019 წლის თებერვალი-მაისის ჩათვლით მან გაიარა სტაჟირება ქ. ვაშინგტონში ორგანიზაციაში "Justice International". ნინო არის შრომის სამართლის სფეროში ათამდე პუბლიკაციის ავტორი. ამავდროულად დაინტერესებულია ადამიანის უფლებების საკითხებით კონფლიქტებში, კერძოდ კი, საქართველოში კონფლიქტისპირა ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობით.

TAMAR KVARATSKHELIA

CSR & COMMUNICATION CONSULTANT
GEORGIA

Tamar is a freelance communication and CSR consultant. With degrees in law, public administration and communication, she has been engaged with non-profit and business sectors since 1996. She has helped number of local as well as international organizations to build strategies to effectively protect rights of the most disadvantaged and marginalized groups throughout Georgia.

Currently, as a consultant for WHO and EU-funded projects, Tamar is providing support to health, civil society, business development and gender advisory projects implemented in Georgia. She has contributed to initiatives that focus on building strong, healthy and vibrant communities.

Tamar takes special interest in CSR, seeing it as a tool for sustainable business development. She dedicated her dissertation work to creating a roadmap of developing CSR in Georgia. She has been providing consulting and trainings to local businesses as well as non-profit agencies and media on various aspects of CSR. She is most committed to ensuring enhancement of cross-sector alliances, documentation and promotion of successful cases of such partnerships and responsible business practices in general.

თამარ კვარაცხელია

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) და კომუნიკაციების კონსულტანტი
საქართველო



თამარ კვარაცხელია არის დამოუკიდებელი კონსულტანტი კომუნიკაციებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებში. უმაღლესი განათლებით სამართლის, საზოგადოებრივი ადმინისტრირებისა და კომუნიკაციის სფეროში, იგი 1996 წლიდან ჩართულია არამომგებიან და ბიზნესსექტორებში. მუშაობდა რიგ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მთელი საქართველოს მასშტაბით უპოვარი და მარგინალური ჯგუფების უფლებების დასაცავად ფეფქტური სტრატეგიების შესამუშავებლად.

ამჟამად არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროექტის კონსულტანტი და ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო და ბიზნესის სექტორების განვითარებასა და გენდერული საკონსულტაციო პროექტების განხორციელებას. დიდი წვლილი აქვს შეტანილი ისეთ ინიციატივებში, რომელთა მიზანიც ძლიერი, ჯანსაღი და ქმედითი მოსახლეობის ჩამოყალიბებაა.

თამარ კვარაცხელიას განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, რაც მისი ხედვით მდგრადი ბიზნესის განვითარების საშუალებაა. მან სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გზამკვლევის შემუშავებას. იგი CSR-ის სხვადასხვა ასპექტის შესახებ კონსულტაციებს უწევს და ტრენინგების სახით შესაბამის ინფორმაციას აწვდის ადგილობრივ ბიზნესს, არამომგებიან სააგენტოებსა და მედია საშუალებებს. თამარი ერთვულადაც ემსახურება სექტორთაშორის კავშირების გაღრმავებას, პარტნიორობის და, ზოგადად, პასუხისმგებელი ბიზნესის წარმატებული მაგალითების დოკუმენტირებას და დემონსტრირებას.

Mikheil Mirziashvili has been active in the civil society sector for almost three decades. He works on issues related to Georgia's Euro-Atlantic integration, civil integration of the ethnic minorities, regional cooperation, conflict prevention and regulation, democracy development and human rights. He took a course of the human rights advocacy program at the International and Public Relations School of Columbia University, USA. He is a co-author of the roadmap and report on Georgia-EU association agreement - Implementation of the EU-Georgia Association Agenda for 2014-2016. Assessment of Civil Society. Civil Society Assessment. He is also a co-author of the roadmap - About European Union.

Mr. Mirziashvili has a five-year experience of working in an active international peacebuilding organization.

He was elected as a member of the Steering Committee (2012–2013) of the Eastern Partnership Civil Society Forum (EaP CSF). Under the status of a civil sector expert, he was engaged in working out the Georgian government's 2017-2020 communication strategy for gaining membership in EU and NATO. He was involved in a Georgian citizen informing campaign on a visa-free regime with the EU initiated by LEPL Information Center on NATO and the EU. During 2005-2009, as a manager of an integration and civil education program of the Fund Open Society – Georgia he led the project initiated by himself – Civil Monitoring of European Neighbourhood Policy in Georgia.

In 1992 together with his friends, Mr. Mirziashvili incorporated Studio Re, a civil society organization that has been supporting construction of a democratic state and development of civil society in Georgia by means of TV-media to date.

Together with other ten civil leaders and activists, in 2019 he founded a non-commercial legal entity “Sector 3 – Hub for Development” an innovative, creative, dynamic public platform whose mission is to stimulate cooperation among the citizens, organizations, sectors and wider community, as well as to find efficient solutions for sustainable development of the country.

მიხეილ მირზიაშვილი

საქართველო



მიხეილ მირზიაშვილი სამოქალაქო სექტორში თითქმის სამი ათეული წელია საქმიანობს. იგი მუშაობს ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის, რეგიონული თანამშრომლობის, კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, დემოკრატიის განვითარებისა და ადამიანის უფლებების თემებზე. გავლილი აქვს ადამიანის უფლებათა ადვოკატირების პროგრამა კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სკოლაში (ნიუ-იორკი, აშშ). არის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გამკველვისა და ნაშრომის "საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულება. სამოქალაქო საზოგადოების შეფასება" თანაავტორი. ასევე, გამკველვის "ევროკავშირის შესახებ" თანაავტორი.

მიხეილ მირზიაშვილს აქვს ევროკავშირში მოქმედი საერთაშორისო, სამშვიდობო ორგანიზაციაში მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება.

არჩეული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის წევრად (2012–2013). სამოქალაქო სექტორის ექსპერტის სტატუსით, მონაწილეობდა ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს განვითარების კომუნიკაციის საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის შემუშავებაში. მონაწილეობდა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესახებ საქართველოს მოქალაქეებს ინფორმირების სსიპ "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" მიერ ინიცირებულ კამპანიაში. 2005–2009 წლებში, როგორც ფონდის "ღია საზოგადოება – საქართველოს" ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამის მენეჯერი, ხელმძღვანელობდა თავისივე ინიცირებულ პროექტს, "ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში".

1992 წელს, მეგობრებთან ერთად, დააფუძნა "სტუდია რე", სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც დღემდე, ტელე-მედიის საშუალებით, ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

2019 წელს კიდევ სხვა ათ სამოქალაქო ლიდერსა და აქტივისტთან ერთად დააფუძნა ა.ა.ი.პ. "სექტორი 3-ჰაბი განვითარებისთვის" - ინოვაციური, კრეატიული და დინამიკური სივრცე, რომლის მისიაა მოქალაქეებს, ორგანიზაციებს, სექტორებსა და ფართო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის სტიმულირება. ეფექტიანი გადაწყვეტების პოვნა ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის.

MARIKA NADARAIA

A.P. MOLLER – MAERSK, BELIEVE FOUNDATION
GEORGIA

Marika Nadaraia graduated the Faculty of Charity and Social Enterprises Management at Anglia Ruskin University, Cambridge, UK. She also holds the Master's degree in Social Sciences and the Bachelor's degree in English Translation and Interpretation from the Georgian Technical University.

Marika Nadaraia has 15 years of working experience in marine transportation and six years of experience in managing charity & non-profit organization.

Currently, she works in the private sector and has international working and volunteer experience in running non-governmental organizations. From 2018 until now, she works for the world's one of the largest companies, A.P. Moller – Maersk as the Global Content Communications Manager in the HQ, Copenhagen, Denmark.

From 2006-2018, Marika Nadaraia has worked in various positions at the Poti Sea Port, including Corporate Social Responsibility Manager, Communications Manager, Head of Administration and Assistant to the General Director.

During 2017-2018, she was the Chairman of the Corporate Social Responsibility Committee of the International Chamber of Commerce.


In 2018, she was named as the honored citizen of Poti due to her contributions towards the local community and societal impact.

At the same time, she is a co-founder and Chairman of the Board of the Believe Foundation. She leads cultural, educational and social projects in the following directions: Quality Education, No Poverty and Reduced Inequalities.

She has multiple years of experience in working with public, non-profit and private sectors.

მარიკა ნადარაია

„აიპი მოლერ მაერსკი“ - A.P. MOLLER – MAERSK, ზონდი „ბილივი“
საპარტოვო



მარიკა ნადარაიამ დაამთავრა დიდი ბრიტანეთის "ანგლია რასკინ უნივერსიტეტის" (Anglia Ruskin University, Cambridge, UK) საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოების მართვის ფაკულტეტი. მან ასევე უმაღლესი აკადემიური განათლება მიიღო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, აქვს სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი და მთარგმნელ-რეფერენტის ბაკალავრის ხარისხი.

მარიკა ნადარაიას აქვს 15-წლიანი სამუშაო გამოცდილება საზღვაო-სატრანსპორტო სფეროში და 6-წლიანი გამოცდილება საქველმოქმედო და არასამთავრობო ორგანიზაციის მართვის მიმართულებით.

ამჟამად დასაქმებულია კერძო სექტორში, აქვს საერთაშორისო სამუშაო გამოცდილება და ამავედროულად მოხალისეობრივად ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაციის მართვაში.

2018 წლიდან დღემდე მუშაობს მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის, A.P. Moller Maersk-ის სათავო ოფისში დანიაში, ქ. კოპენჰაგენში, სადაც იგი არის გლობალური კონტენტის მენეჯერი, კორპორაციული კომუნიკაციების გუნდში.

მარიკა ნადარაია 2006 - 2018 წლებში მუშაობდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში, იყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელმძღვანელი, კომუნიკაციების მენეჯერი, ადმინისტრაციის უფროსი და გენერალური დირექტორის თანაშემწე.

2017-2018 წლებში იყო საერთაშორისო სავაჭრო პალატის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.

2018 წელს, საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, მარიკა ნადარაია დასახელდა ქ. ფოთის საპატიო მოქალაქედ. ასევე, იგი არის საქველმოქმედო ფონდ „ბილივის“ თანადამფუძნებელი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. უძღვება კულტურულ, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო პროექტებს შემდეგი მიმართულებებით: ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, სიღარიბის დაძლევა და ინკლუზიური განათლება. აქვს როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

TAMAR RODONAIA

CORPORATE COMMUNICATIONS EXPERT GEORGIA

Tamar Rodonaia received her education in social and political sciences and is currently pursuing a PhD in social responsibility development. She has long-term experience in implementing corporate communications and social responsibility policies in Georgia.

Tamar Rodonaia worked for the World Communications Group Telia's member, Geocell, for 12 years, leading the company's corporate social responsibility (CSR) strategy. At present, she is an independent consultant in CSR and corporate communications. In 2016-2020, she consulted different NGOs: Civil Development Agency, Cida, the Center for Strategic Research and Development of Georgia, CSRDG and non-governmental organization "Keep Georgia Tidy" being involved in women's empowerment communication programs, in the subject of social entrepreneurship development and promotion of environmental issues. She is a solicited lecturer at the Institute of Public Affairs (GIPA). Tamar Rodonaia is a co-founder of the Anagrama's Communications Group, one of whose main aims is to show the importance of developing corporate social responsibility to the private sector and maximizing interest in the development of this field.

თამარ როდონაია

კორპორაციული კომუნიკაციების უსაპარსო
საპარტოელო



თამარ როდონაიას განათლება მიღებული აქვს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში და ამჟამად მუშაობს სადოქტორო კვლევაზე სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების კუთხით. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება კორპორაციული კომუნიკაციებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით. 12 წელი მუშაობდა მსოფლიო საკომუნიკაციო ჯგუფ "თელიას" წევრ-კომპანია "ჯეოსელში", და კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებას უძღვებოდა. ამჟამად არის დამოუკიდებელი კონსულტანტი სოციალური პასუხისმგებლობისა და კორპორაციული კომუნიკაციების მიმართულებით.

2016-2020 წლებში კონსულტაციას უწევდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამოქალაქო განვითარების სააგენტო სიდას, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს (CSR DG) და გარემოსდაცვით ორგანიზაციას "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე", რომლის ფარგლებშიც ჩართულია ქალთა გაძლიერების საკომუნიკაციო პროგრამებში, სოციალური მენარმეობის განვითარებისა და გარემოსდაცვითი საკითხების პოპულარიზაციის თემებში.

არის მიწვეული ლექტორი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ჯიპა).

თამარი აგრეთვე არის თანადამფუძნებელი საკომუნიკაციო ჯგუფ "ანაგრამასი", რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მნიშვნელობა დაანახოს კერძო სექტორს და მაქსიმალურად დააინტერესოს, ჩართოს ამ პროცესში.

SOPHIO CHACHAVA

PHD IN LAW
GEORGIA

Sophio Chachava - PhD in law, holds a Master's degree (LL.M. Eur). She is a Professor at the New Vision University (NVU), an Associated Professor at Tbilisi State University. Sophio is Board Member of L.E.P.L. "Mediators Association of Georgia". In this capacity contributed to developing 5-year strategy document of the Association and designing accreditation system of mediators in Georgia. Sophio is Member of the Legal Aid Council of Georgia.

Since 2012 Sophio is accredited practicing mediator; Co-Founder of National Center for Alternative Dispute Resolution/Tbilisi State University. She is also Co-director at the Effective Communication and Leadership Center, New Vision University, Legal Ethics Chair/NVU.

Since 2020 Sophio Chachava is Co-Founder of RESOLVE – a non for profit organization, Initiated and currently implementing "Early response to potential commercial and commercial disputes triggered by COVID19" project (GIAC/UNDP).

Sopio Chachava is a Professor and an Expert in Labor Law. She has given a number of trainings to practicing lawyers in these spheres. She is the author of numerous publications and the editor of articles on labor law. She is also the co-author of a research study on Management and the Effective Resolution of Service/Labor Disputes in the Civil Service (UNDP). Since 2011, she has been a Certified Mediator at the Frank Evans Center for Conflict Resolution (STCL). She is CEDR accredited and a practicing mediator at Tbilisi City Court.

Since 2011, she has been a trainer in mediation and effective communication.

Since 2011 Sopio Chachava designed programs and conducted number of trainings in mediation for mediators, lawyers, notary's and judges, also training in "effective workplace communication and giving feedback" for different groups and organizations.

Sopio Chachava is a certified trainer in mediation and negotiation skills. She also has completed series of mediation and negotiation training's, mediation training for family and inheritance matters (NCADR/STCL). She is also a certified mediator in labor law (ILO/MoLHSaG) and peer- mediation.

She is certified trainer in modern teaching methodology in law and in legal writing (JILEP/Washburn University, NCBL).

She also successfully completed strategic leadership simulations at the Cambridge Institute of Global Leadership (CIGL). She is the graduate and member of the Leadership Academy of CELA (Central Eurasian Leadership Alliance) and of CELA Georgia.

სოფიო ჩაჩავა

სამართლის დოქტორი
საქართველო



სოფიო ჩაჩავა – სამართლის დოქტორი (PhD), მაგისტრის ხარისხის მფლობელი (LL.M.Eur), პროფესორი ნიუ-ვიფენ უნივერსიტეტში (NVU), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი. სოფიო 2012 წლიდან არის აკრედიტებული პრაქტიკოსი მედიატორი; აგრეთვე არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის/თსუ (NCADR/TSU) თანადამფუძნებელი და ნიუ-ვიფენ უნივერსიტეტის ეფექტიანი კომუნიკაციისა და ლიდერობის ცენტრის NVU/CECL თანადირექტორი, ეთიკის მიმართულების ხელმძღვანელი NVU/PROLoG.

2020 წლიდან სოფიო არის აიპ RESOLVE-ის თანადამფუძნებელი – ეს არის დავების პრევენციის, მათი ეფექტიანი მართვისა და მოგვარების სერვისების მომწოდებელი. "COVID-19 პანდემიით გამოწვეული კომერციული დავების პრევენციის და მოგვარების მიზნით ბიზნესისა და მხარეთათვის ალტერნატიული მექანიზმის შეთავაზების თაობაზე" პროექტის ინიციატორი და თანაგანმხორციელებელი (GIAC/UNDP).

სოფიო ჩაჩავა შრომის სამართლის მიმართულების პროფესორი და ექსპერტია. მას ამ მიმართულებით ჩატარებული აქვს არაერთი ტრენინგი პრაქტიკოსი იურისტებისათვის, არის პუბლიკაციების ავტორი და სტატიათა კრებულების რედაქტორი შრომის სამართალში. ასევე "საჯარო სამსახურში სამსახურებრივი/შრომითი დავების მართვა და ეფექტიანი გადაწყვეტის" თაობაზე კვლევის თანაავტორი (UNDP). 2011 წლიდან სოფიო არის კონფლიქტების მოგვარების ფრანკ ევანს ცენტრის (STCL) სერტიფიცირებული მედიატორი და CEDR-ის აკრედიტებული და პრაქტიკოსი მედიატორი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სოფიო არის სერტიფიცირებული ტრენერი მედიაციისა და მოლაპარაკების უნარებში. მას ასევე გავლილი აქვს მედიაციის გაღრმავების ტრენინგი (NCADR/ GiZ), ტრენინგი მედიაციაში საოჯახო და მემკვიდრეობით საკითხებზე (NCADR/STCL). იგი ასევე არის სერტიფიცირებული მედიატორი შრომითი სამართლის საკითხებზე (ILO/MoLHSAg) და სასკოლო მედიაციაში.

2011 წლიდან სოფიო ჩაჩავამ შეიმუშავა და ჩატარებული აქვს მედიაციის აკრედიტაციის არაერთი ტრენინგი/პროგრამა მედიატორების, ადვოკატების, ნოტარიუსების თუ მოსამართლეებისთვის, ასევე ტრენინგები "ეფექტიან კომუნიკაციასა და უკუკავშირის გაცემის ტექნიკაში" სამსახურებრივ გარემოში სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებთან.

სოფიო ჩაჩავა სერტიფიცირებული ტრენერია სამართლის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასა და სამართლებრივი წერაში (JILEP/Washburn University, NCBL), ასევე, მან წარმატებით გაიარა სტრატეგიული ლიდერობის სიმულაცია - კემბრიჯის გლობალური ლიდერობის ინსტიტუტში (CIGL). არის CELA (ცენტრალური ევრაზიის ლიდერობის ალიანსი) ლიდერობის აკადემიის კურსდამთავრებული, CELA საქართველოს წევრი.

TAMTA CHUMBURIDZE

COMMITTEE ON EUROPEAN INTEGRATION OF THE PARLIAMENT OF GEORGIA, CHIEF SPECIALIST GEORGIA

Tamta Chumburidze is a Chief Specialist at the Committee on European Integration at the Parliament of Georgia. She holds a Master's degree in law. She has been in public service for 15 years and works on approximation of Georgian legislation with EU laws. She participated in the first project on approximation with EU legislation; namely, in the sector of intellectual property. Currently, she is one of the co-authors of the draft Law on Consumer Rights. For 15 years she has been working on the rights of children, women, disabled persons and employees under the terms of approximation with EU justice.

Tamta Chumburidze headed the show, Kanoni (Law), established with the support of the Friedrich Ebert Fund. She is also an expert at the Estonian Center for Political Research and has given trainings to employees of the Tbilisi Mayor's Office and City Hall. She was an advisor to the Georgian team at the OSCE and also worked as a coordinator for the group for the approximation of Georgian legislation to EU laws for the staff of the Parliament of Georgia.

From 2004 to date, Tamta Chumburidze has been working on the approximation of Georgian legislation with EU laws. To this end, she participated in international conferences, received a one-year EU training – European Integration and participated in the NDI's one-year training on Mastering Women Leaders. She also took training courses organized by Conrad Adenauer, the Parliament of Georgia, the Georgian Public Service Office, the Service of the Consumer Rights Protection Inspector's Office of Poland, the German Ministry of Internal Affairs and Migration Center, the Estonian Migration and Resettlement Center and the Political Research Center. She is knowledgeable about the parliamentary structure and activity systems of a number of EU member countries and holds certificates in respective spheres as well as trainer's certificates.

თამთა ჭუმბურიძე

საპარტოვლოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, წამყვანი სპეციალისტი
საპარტოვლო



თამთა ჭუმბურიძე არის საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი. თამთა ჭუმბურიძე პროფესიით არის იურისტი, მაგისტრი. 15 წელია მუშაობს საჯარო სამსახურში, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართულებით. მონაწილეობდა პირველ პროექტში, რომელიც კერძოდ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვდა. ამჟამად თანაავტორია "მომხმარებლის უფლებების შესახებ" კანონპროექტისა. 15 წლის განმავლობაში მუშაობდა ბავშვთა, ქალთა, შშმ პირებისა და დასაქმებულთა უფლებებზე ევროკავშირის სამართალთან დაახლოების მიმართულებით.

იგი უძღვებოდა ფრიდრიხ ებერტის მხარდაჭერით შექმნილ რადიოგადაცემას "კანონი" და როგორც ესტონეთის პოლიტიკური კვლევების ცენტრის ექსპერტს, საზოგადოებრივი ჩართულობის სფეროში აქვს ჩატარებული ტრენინგები თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის, იყო ეუთოში საქართველოს დელეგაციის მრჩეველი და პარლამენტის აპარატის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ჯგუფის კოორდინატორი.

2004 წლიდან დღემდე მუშაობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე და მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში, გავლილი აქვს ევროკავშირის 1-წლიანი სწავლება "ევროპული ინტეგრაცია" და NDI-ის 1-წლიანი სწავლება "ლიდერ ქალთა დახელოვნება", ასევე - კონრად ადენაუერის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს, პოლონეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინსპექტორის სამსახურის, გერმანიის შსს-ისა და მიგრაციის ცენტრის, ესტონეთის, მიგრაციისა და განსახლების, ასევე, პოლიტიკური კვლევების ცენტრის სწავლებები, იცნობს ევროკავშირის არაერთი წევრი ქვეყნის საპარლამენტო სტრუქტურასა და საქმიანობის სისტემას, აქვს სერტიფიკატები შესაბამის სფეროებში და ტრენინგის სერტიფიკატები.

Anna is the Communications Planning Manager at Business in the Community (BITC) - The Prince's Responsible Business Network which is the oldest and largest business-led membership organisation dedicated to responsible business in the UK, created nearly 40 years ago by HRH The Prince of Wales.

Based in London, UK Anna holds a leading role in planning and overseeing BITC's communication activities in order to amplify the importance of responsible business, while putting BITC brand at the heart of everything we do, delivering meaningful experience to existing members, and creating an attractive proposition to potential members.

Previous to the role of Communications Planning Manager, Anna was responsible for successful management and deliver of BITC's flagship Awards programme – Responsible Business Awards. The programme was first launched at BITC's AGM in December 1997 and has since been recognizing and showcasing transformational stories of businesses taking real action to build thriving communities.

In this role Anna was responsible for the strategic direction of the Awards, stakeholder communication and engagement as well as the day-to-day running of the programme.

Anna is a qualified PRINCE2 Practitioner. She also has an MA degree with commendation in Intercultural Communications and a BA Hons 1st class degree in International Business Studies from University of Bedfordshire, UK. Anna's professional interests are on subjects related to project management and strategic marketing and communications planning. In her spare time, Anna enjoys active leisure time and travel with her husband and their two children, reading Russian classics and keeping fit and healthy by attending her local gym or doing yoga.

ანა ბოლტი

BUSINESS IN THE COMMUNITY

დიდი ბრიტანეთი



ანა ბოლტი არის პრინცი ჩარლზის პასუხისმგებელი ბიზნესის ქსელის "ბიზნესი საზოგადოებაში" (Business in the Community/BITC) კომუნიკაციების მენეჯერი. ბიზნესქსელი დაარსდა დაახლოებით 40 წლის წინ, უელსის პრინცი ჩარლზის მიერ და წარმოადგენს უძველეს და უდიდეს ბიზნეს ორგანიზაციას, რომლის მიზანია პასუხისმგებელი ბიზნესის წახალისება და ხელშეწყობა დიდ ბრიტანეთში.

ანა ცხოვრობს და მუშაობს ლონდონში. იგი აქტიურად მონაწილეობს BITC-ის საკომუნიკაციო საქმიანობის დაგეგმვაში და ზედამხედველობაში, რაც გულისხმობს პასუხისმგებელი ბიზნესის მნიშვნელობის გაძლიერებას და ზრდას.

აღნიშნულ პოზიციამდე, ანა წარმატებით მართავდა BITC-ის წამყვან პროგრამას - პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსს. აღნიშნული კონკურსი პირველად ჩატარდა 1997 წელს და მას შემდეგ აქტიურად წარმოაჩენს ბიზნესის რეალურ ნაბიჯებს და ცვლილებებს, მიმართულს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისკენ. ანა ბოლტის მოვალეობა მოიცავდა, როგორც კონკურსის სტრატეგიული წარმართვას, დაინტერესებულ მხარეთაგან კომუნიკაციას და მათი ჩართულობის უზრუნველყოფას, ისე პროგრამის ყოველდღიური საქმიანობის მართვას.

ანა არის PRINCE2-ის კვალიფიციური პრაქტიკოსი. მას აქვს მაგისტრის ხარისხი ინტერკულტურულ კომუნიკაციებში და ბედფორდშირის უნივერსიტეტის (ბრიტანეთი) ბაკალავრის პირველი კლასის საპატიო ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს კვლევებში. ანას პროფესიული ინტერესები დაკავშირებულია პროექტის მენეჯმენტთან, სტრატეგიულ მარკეტინგთან და კომუნიკაციებთან.

Angus McCabe is a Senior Research Fellow in the Department for Social Policy, Sociology and Criminology, University of Birmingham. Angus has a background in community development work both in inner city and settings on peripheral estates. His research interests include resident led change, health and crime as well as community based education.

Until 2006 he was Knowledge Manager for the National Evaluation of the Children's Fund and evaluator with the Centre of Excellence in Interdisciplinary Mental Health. He is currently working with the Third Sector Research Centre at the University of Birmingham and leading on the 'below the radar' work stream which is researching the experiences of small community based groups and activities. He also leads the national multi-media evaluation of Big Local, a resident led change programme in 150 areas in England. He is a Board Member of the International Community Development Journal, an Honorary Fellow at the Faiths and Civil Society Unit (Goldsmiths, University of London) and has been involved in training and development work with community organisations in the UK and Europe.

Angus's recent publications include:

McCabe, A. and Phillimore, J. (eds.) (2017) Community Groups in Context. Local activities and actions. Policy Press, Bristol
McCabe, A., Wilson, M. and Macmillan, R. (2017) Beyond the Early Years. The longitudinal multi-media evaluation of Big Local. Local Trust, London/Third Sector Research Centre, Birmingham.
McCabe, A. and Harris, K. (2017) Trouble in Utopia: Community Action and Social Media (Working Paper 140). Third sector Research Centre, Birmingham
McCabe, A., Buckingham, H., Miller, S. and Musabyimana, M. (2016) Belief in Social Action: Exploring faith groups' responses to local needs (Working Paper 137) Third Sector Research centre, Birmingham

ანგუს მაკკეიბი

ბირმინგემის უნივერსიტუტი
დიდი ბრიტანეთი



ანგუს მაკეიბი ბირმინგემის უნივერსიტეტის სოციალური პოლიტიკის, სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. ანგუსს აქვს თემის განვითარების სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება, როგორც ქალაქში, ისე პერიფერიულ ზონებში. მისი საკვლევ ინტერესთა სფეროში შედის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ადგილობრივი თემის ცვლილება, ჯანმრთელობა და დანაშაული, ასევე სათემო განათლება.

2006 წლამდე ის იყო ბავშვთა ფონდის სახელმწიფო შეფასების პროგრამის საინფორმაციო მენეჯერი და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინტერდისციპლინარული ცენტრის შემფასებელი. ანგუს მაკეიბი ამჟამად მუშაობს ბირმინგემის უნივერსიტეტის მესამე სექტორის კვლევით ცენტრში და ხელმძღვანელობს პროექტს "რადარს მიღმა", რომელიც იკვლევს მცირე სათემო ჯგუფებსა და მათ საქმიანობას. ანგუს მაკეიბი აგრეთვე უძღვება ეროვნულ მულტიმედია შეფასებას პროგრამის Big Local, რომელიც ბრიტანეთის 150 ლოკაციას მოიცავს და მიზნად ისახავს თემში ცვლილებების ხელშეწყობას. ანგუს მაკეიბი არის "თემის განვითარების საერთაშორისო ჟურნალის" საბჭოს წევრი, რწმენისა და სამოქალაქო საზოგადოების განყოფილების საპატიო წევრი (გოლდსმითის, ლონდონის უნივერსიტეტი) და ჩართულია სათემო ორგანიზაციების სწავლება-განვითარების საქმეში ბრიტანეთსა და ევროპაში.

ანგუს მაკეიბის ბოლო პუბლიკაციებია:

მაკეიბი, ა. და ფილიმორი, ჯ. (რედ.) (2017), სათემო ჯგუფები კონტექსტში, ადგილობრივი აქტივობები და ქმედებები, პოლიტიკის პრესა, ბრისტოლი. მაკეიბი, ა., უილსონი, მ. და მაკმილანი, რ. (2017), ადრეული წლების მიღმა, დიდი ლოკალიზაციის მრავალმხრივი მულტიმედია შეფასება. ლოკალური ნდობა, ლონდონის/მესამე სექტორის კვლევითი ცენტრი, ბირმინგემი. მაკეიბი, ა. და ჰარისი, კ. (2017) პრობლემა უტოპიაში: თემის მოქმედება და სოციალური მედია (სამუშაო დოკუმენტი 140). მესამე სექტორის კვლევითი ცენტრი, ბირმინგემი. მაკეიბი, ა., ბუკინგჰემი, ჰ., მილერი, ს. და მუსაბემიანი, მ. (2016), რწმენა სოციალურ მოქმედებაში: რელიგიური ჯგუფების პასუხების შესწავლა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესახებ (სამუშაო დოკუმენტი 137) მესამე სექტორის კვლევითი ცენტრი, ბირმინგემი.

ELAINE COHEN

**BEYOND BUSINESS
ISRAEL**

Elaine Cohen has over 30 years of business and sustainability management experience, including 8 years as a Supply Chain Executive with Procter and Gamble in Europe, and 8 years as a country VP Human Resources and Corporate Responsibility with Unilever.

Since 2005, Elaine provides strategic consulting and sustainability reporting and training services. Elaine is a regular writer on her CSR and Sustainability Reporting Blog, a frequent conference chair and speaker and the author of three books on sustainability.

She is founder and head of the organization Beyond Business which is a specialist CSR consulting and sustainability reporting firm offering sustainability services to clients around the world. Consulting company supports sustainability strategy development, sustainability communications, stakeholder engagement, materiality mapping, reporting, assurance and benchmarking. Beyond Business is especially known for its sustainability reporting expertise and have supported clients in delivering more than 75 reports since 2007, mostly GRI-based reports.

Elaine was named as one of Trust Across America's top 100 Thought Leaders of Trustworthy business in 2017 and as a Lifetime Achievement honoree. In 2018 Elaine was named by Onalytica as one of the top sustainability professionals in the world (Top 20).

ელენ კოენი

BEYOND BUSINESS ისრაელი



ელენ კოენს აქვს ბიზნესისა და მდგრადი განვითარების მართვის 30-წლიანი გამოცდილება, აქედან რვა წლის მანძილზე იგი იყო ევროპაში Procter and Gamble-ის მოწოდების ქსელის აღმასრულებელი მენეჯერი და რვა წელი – Unilever-ის ადამიანური რესურსებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რეგიონული ვიცე-პრეზიდენტი.

2005 წლიდან ელენ კოენი, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი, საკონსულტაციო მომსახურებას უწევს კომპანიებს სტრატეგიული განვითარებისა და მდგრადი განვითარების ანგარიშგების სფეროში. იგი ასევე არის გამოცდილი ტრენერი. ელენს აქვს საკუთარი ბლოგი, რომელზეც იგი მუდმივად წერს CSR-ისა და მდგრადი განვითარების ანგარიშგების შესახებ, ხშირად არის კონფერენციების თავმჯდომარე და მომხსენებელი, აგრეთვე სამი წიგნის ავტორი მდგრადი განვითარების საკითხებზე.

ელენ კოენი არის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი საკონსულტაციო ორგანიზაციისა "Beyond Business", რომელიც საკონსულტაციო მომსახურებას უწევს კომპანიებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ანგარიშგების მიმართულებით, კერძოდ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: CSR და მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება, პასუხისმგებელი კომუნიკაცია, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, არსებითი ზეგავლენების ანალიზი, ანგარიშგება, აუდიტი და შეფასება. "Beyond Business"-ი განსაკუთრებით გამოირჩევა ექსპერტიზით მდგრადი განვითარების ანგარიშგების სფეროში; 2007 წლიდან ორგანიზაცია 75 ანგარიშის მომზადებაში დაეხმარა საკუთარ კლიენტებს, მათგან უმეტესობა GRI ფორმატით იყო მომზადებული.

2017 წელს ელენ კოენი დაასახელეს "Trust Across America"-ს სანდო ბიზნესის 100 ყველაზე გავლენიან სპეციალისტს შორის და დააჯილდოვეს ცხოვრების მანძილზე მიღწეული წარმატებებისათვის. 2018 წელს კი "Onalytica"-მ იგი მსოფლიოში მდგრადი განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად დაასახელა (ტოპ 20-ეული).

Loïc studied International Business Management at UCL in Belgium and at the WU in Austria. Loic started his career in marketing and finance in the telecom sector, before moving towards strategy and organizational consultancy. His strong desire to combine his passion for societal impact with his business background led him to becoming Director of Sustainability/CSR for the major Belgian telecom operator. In this role, Loic managed to embed CSR as a strategic priority for the company, launched various social and environmental initiatives delivering both business growth and societal impact, established innovative partnerships, and won several awards and recognitions. Loic also served as advisor for the Belgian CSR network and was member of CSR Europe.

As his passion for social entrepreneurship and innovation grew stronger, Loic co-created an accelerator for social enterprises embedded in a larger support ecosystem, called Oksigen. In parallel to his managerial role within Oksigen, Loïc coached and advised numerous organizations willing to sustain their activities and grow their impact.

Since two years, Loïc mainly works for Ashoka (the largest global network supporting social entrepreneurs), supporting the scaling of societal innovations into new geographies through the Impact Transfer Initiative and coordinating various multi-stakeholder partnerships in different countries.

As a freelance consultant and trainer in the field of social innovation and sustainability, Loic supports different types of organizations to become more sustainable and impactful. Loic also serves as a private expert in the Social Entrepreneurship Expert Group of the European Commission (called GECES).

Loic co-founded several social enterprises and remains active as Board Member.

ლოიქ პან ქუთსაქი

ASHOKA
პასტრია



ლოიქ ქუთსემს განათლება მიღებული აქვს ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში (ბელგია) და ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტში (ავსტრია) საერთაშორისო ბიზნესის მართვის განხრით. ლოიქმა პროფესიული კარიერა დაიწყო ტელეკომუნიკაციების სექტორში, მარკეტინგის და ფინანსების განხრით, თუმცა მალევე, მიღებული ბიზნეს განათლებისა და სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენის მიმართ ინტერესის ურთიერთშეთავსების ძლიერი სურვილის გამო, მსხვილი ბელგიური სატელეკომუნიკაციო კომპანიის მდგრადი განვითარების/კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) დირექტორად განაგრძო მუშაობა. ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ლოიქმა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად აქცია, განახორციელა ბიზნესის ზრდასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული სხვადასხვა სოციალური და გარემოსდაცვითი ინიციატივა და მრავალი ჭილდო და აღიარება მოიპოვა. იმავდროულად ლოიქი იყო ბელგიური CSR-ქსელის მრჩეველი და CSR Europe-ის წევრი.

სოციალური მეწარმეობითა და ინოვაციებით დაინტერესების შემდეგ ლოიქ ქუთსემმა მონაწილეობა მიიღო სოციალურ საწარმოთა აქსელერატორის დაფუძნებაში, რომელიც წარმოადგენდა "ოქსიგენის" (Oksigen) სახელით ცნობილი, სოცმეწარმეობის მხარდამჭერი მსხვილი ეკოსისტემის ნაწილს. "ოქსიგენის" მართვის პარალელურად ლოიქი ქოუჩინგსა და კონსულტაციებს უწევდა პასუხისმგებელი საქმიანობის წარმოებითა და ზეგავლენის გაძლიერებით დაინტერესებულ უამრავ სოციალურ საწარმოს. ბოლო ორი წელია ლოიქ ქუთსემი ძირითადად სოცმეწარმეთა მხარდამჭერ, უმსხვილეს გლობალურ ქსელ Ashoka-ში მუშაობს და Impact Transfer-ის ინიციატივის ფარგლებში ხელს უწყობს აპრობირებული სოციალური ინოვაციების ახალ რეგიონებში გადაცემას/გავრცელებას. როგორც დამოუკიდებელი კონსულტანტი და ტრენერი, ლოიქი ასევე ჩართულია სოციალურ ინოვაციებსა და ბუნების დაცვაზე ორიენტირებულ რამდენიმე პროექტში, 2015 წლიდან არის ევროკომისიის სოცმეწარმეობის ექსპერტთა ჯგუფის (GECES) კერძო ექსპერტი.

ლოიქ ქუთსემი არის რამდენიმე სოციალური საწარმოს თანადამფუძნებელი და გამგეობის აქტიური წევრი

MARTINA KOLESAROVA

PONTIS FOUNDATION
SLOVAKIA

Pontis Foundation is a largest grant-making foundation in Slovakia, which works to achieve positive changes in the fields of education, inclusion, transparency, community, diversity, corporate responsibility and sustainability.

Martina Kolesarova has worked at Pontis Foundation for four years. She was responsible for supporting social innovation and pro bono ecosystems in the country and managed fundraising activities and operations of the Foundation. Later on Martina became a Program Director and lead teams with programs in education, social inclusion, and strategic philanthropy. In September 2019, she became Co-CEO of the Foundation and since then is responsible for the strategic development of the organization, working with major donors and specializing in strategic philanthropy and new models of social change.

Before joining Pontis, Martina was responsible for designing and supervising NGO projects in renewable energy, which included communication with state authorities and media. She also worked at corporate social responsibility consultancy in Tel Aviv and served as senior volunteer at Ashoka Foundation during her temporary stay in Washington, D.C.

მარტინა კოლესაროვა

PONTIS FOUNDATION
სლოვაკეთი



ფონდი "პონტისი" ბრატისლავაში ყველაზე მსხვილი გრანტების გამცემი ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია პოზიტიური ცვლილებების მიღწევა განათლების, ინკლუზიურობის, გამჭვირვალობის, თემის განვითარების, მრავალფეროვნების, კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის მიმართულებით. მარტინა კოლესაროვა ოთხი წელია პონტისში მუშაობს, იგი პასუხისმგებელი იყო ქვეყანაში პრო ბონო ეკოსისტემისა და სოციალური ინოვაციების განვითარებაზე, ასევე ხელმძღვანელობდა ფონდების მოძიების მიმართულებას.

შემდეგ მარტინა გახდა პროგრამის დირექტორი და ხელმძღვანელობდა განათლების, სოციალური ინკლუზიისა და სტრატეგიული ფილანთროპიის მიმართულებებს. 2019 წლის სექტემბერში კი იგი გახდა ფონდის აღმასრულებელი დირექტორი და პასუხისმგებელია ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებაზე. მუშაობს სტრატეგიულ დონორებთან და სპეციალიზდება სტრატეგიულ ფილანთროპიასა და სოციალური ცვლილებების ახალ მოდელებზე.

"პონტისში" მუშაობის დაწყებამდე მარტინა მუშაობდა სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან და პასუხისმგებელი იყო განახლებადი რესურსების პროექტების დაგეგმვასა და მონიტორინგზე; მისი სამუშაო მოიცავდა აგრეთვე აღნიშნული პროექტების შესახებ კომუნიკაციას სახელმწიფო ორგანოებთან და მედიასთან.

მარტინა ასევე მუშაობდა თელ-ავივში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონსულტანტად და ვაშინგტონში Ashoka Foundation-ის მოხალისედ.

MICHAL KISSA

**PONTIS FOUNDATION
SLOVAKIA**

Michal works as a Co-CEO of Pontis Foundation and also serves as a strategic advisor to Business Leaders Forum, the largest association of businesses in Slovakia focused on spreading principles of CSR in Slovakia, which he led as an Executive Director for over 4 years. For the last 13 years he has been focused on promoting CSR among Slovak companies, public institutions and facilitating cooperation between different sectors of society. He cooperated at several publications and training programs, such as „How to be successful? Do business in a responsible way!“, e-learning course for SMEs and also the draft of the National Strategy for Supporting Corporate Responsibility. He took part at the introduction of the Global Reporting Sustainability Guidelines in Slovakia.

Michal assisted several companies in creating their CSR strategies, CSR reports, stakeholder dialogues or audits, e.g. for Slovak Telekom, dm drogerie markt, Orange Slovensko, VÚB banka, Slovnaft, New World Resources, Accenture, Západoslovenská energetika, etc. He was also responsible for 9 annual editions of the CEE CSR Summit, the largest CEE event on sustainability.

Michal holds Master degree in Political Sciences and English Language and Literature.

მიხალ კისა

PONTIS FOUNDATION
სლოვაკეთი



მიხალი არის Pontis Foundation-ის თანადირექტორი და "ბიზნეს ლიდერთა ფორუმის" (BLF Slovakia) სტრატეგიული მრჩეველი. "ბიზნეს ლიდერთა ფორუმი" სლოვაკეთში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბიზნესასოციაციაა, რომელიც ორიენტირებულია ქვეყანაში CSR პრინციპების გავრცელებაზე. მიხალი 4 წლის განმავლობაში იყო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

ბოლო 13 წლის მანძილზე მიხალი თავის საქმიანობით ხელს უწყობს CSR პრინციპების დანერგვას სლოვაკურ კომპანიებში და საჯარო ინსტიტუტებში, ამასთანავე ფასილიტაციას უწევს სექტორთა შორის პარტნიორობას. იგი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პუბლიკაციებისა თუ ტრენინგ პროგრამების შექმნაში, როგორიცაა, მაგალითად, "როგორ ვიყოთ წარმატებული? ანარმოდ ვთიკური ბიზნესი!", ელექტრონული სასწავლო კურსი მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდამჭერი ნაციონალური სტრატეგიის ჩარჩო-პოლიტიკა. ასევე მონაწილეობდა სლოვაკეთში გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) შემოღების და დამკვიდრების საქმეში.

მიხალი კონსულტაციას უწევდა სლოვაკეთში მოქმედ უმსხვილეს ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს, როგორიცაა: Slovak Telekom, dm drogerie markt, Orange Slovensko, VÚB banka, Slovnaft, New World Resources, Accenture, Západoslovenská energetika - CSR სტრატეგიის შედგენის, CSR ანგარიშგების, დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგისა და აუდიტის საკითხებზე.

ის აგრეთვე 9 წლის განმავლობაში იყო პასუხისმგებელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე მასშტაბური CSR ღონისძიების CEE CSR Summit-ის ორგანიზებამზე.



მიხალი არის პოლიტიკური მეცნიერებებისა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის მაგისტრი.

ქონკურსის სპონსორი SPONSOR



MOORE

ქონკურსის პარტნიორები PARTNERS



კონკურსის მედიასპონსორები

MEDIA PARTNERS



Entrepreneur



საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი
GEORGIA'S RESPONSIBLE BUSINESS AWARDS

Meliora - 2020

განსაკუთრებული ფორმატი: პასუხისმგებელი ბიზნესი და COVID-19
Special Edition: Responsible Business and COVID-19

www.meliora.ge

www.meliora.ge

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
Center for Strategic Research and Development of Georgia

კონტაქტი:
დელისის პირველი შესახვევი 5ა, თბილისი 0177
ტელ/ფაქსი: (995 32) 2 39 90 19/18
ელ. ფოსტა: office@csrdg.ge

Contact:
5a Delisi 1st lane, 0177 Tbilisi
Tel/Fax: (995 32) 2 39 90 19/18
Email: office@csrdg.ge
www.csrdg.ge